

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის
ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Institute of General and Comparative Literary Studies

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია
Georgian Comparative Literature Association

სჯანი

ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი

ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში

Sjani

Annual Scholarly Journal of Literary Theory and Comparative Literature

UDC (უკ) 821.353.1.0(051.2)
ს-999

რედაქტორი ირმა რატიანი	Editor Irma Ratiani
სარედაქციო კოლეგია	Editorial Board
თამარ ბარბაქაძე (საქართველო)	Tamar Barbakadze (Georgia)
ლევან ბრეგაძე (საქართველო)	Levan Bregadze (Georgia)
რუტა ბრუზგიენე (ლიტვა)	Rūta Brūzgienė (Lithuania)
მაია ბურიმა (ლატვია)	Maja Burima (Latvia)
რაჰილა გეიბულაევა (აზერბაიჯანი)	Rahilya Geybullayeva (Azerbaijan)
თეიმურაზ დოიშვილი (საქართველო)	Teimuraz Doiashvili (Georgia)
მაკა ელბაკიძე (საქართველო)	Maka Elbakidze (Georgia)
ანეტა ვერბერგერი (გერმანია)	Annette Werberger (Germany)
ირაკლი კენჭოშვილი (საქართველო)	Irakli Kenchoshvili (Georgia)
რუდოლფ კროიტნერი (გერმანია)	Rudolf Kreutner (Germany)
გაგა ლომიძე (საქართველო)	Gaga Lomidze (Georgia)
თამარ ლომიძე (საქართველო)	Tamar Lomidze (Georgia)
ჯესიკა პრესმანი (აშშ)	Jessica Pressman (USA)
ალექსანდრე სტროევი (საფრანგეთი)	Alexandre Stroev (France)
ჯერი უაითი (კანადა)	Jerry White (Canada)
ჯენიფერ უოლესი (ინგლისი)	Jennife Wallace r (UK)
მანფრედ შმელინგი (გერმანია)	Manfred Schmeling (Germany)
ბელა წიფურია (საქართველო)	Bela Tsipuria (Georgia)
პასუხისმგებელი მდივანი	Responsible Editor
მირანდა ტყეშელაშვილი	Miranda Tkeshelashvili
კომპიუტერული უზრუნველყოფა თინათინ დუგლაძე	Computer Software Tinatin Dugladze
სჯანი 25, 2024, მაისი	Sjani (<i>The Thoughts</i>) 25, 2024, May
რედაქციის მისამართი:	Address:
საქართველო,	Georgia,
თბილისი 0108,	Tbilisi 0108,
მ. კოსტავას ქ. №5	M. Kostava St. 5
ტელ.: (+995 32) 2 99-63-84	Tel.: (+995 32) 2 99-63-84
ფაქსი: (+995 32) 2 99-53-00	Fax: (+995 32) 2 99-53-00
www.litinstitutu.ge	www.litinstitutu.ge
E-mail: litinstitutu@yahoo.com	E-mail: litinstitutu@yahoo.com

ქურნალი რეგისტრირებულია შემდეგ ბაზებში:

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი, VABB-SHW, ERIH PLUS, EBSCO.

Sjani is a member of the following databases: Central and Eastern European Online Library, VABB-SHW, ERIH PLUS, EBSCO.

© თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

© კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA)

ISSN 1512-2514

E-ISSN: 2346-772X

ლიტერატურის თეორიის პრობლემები		<i>Problems of Literary Theory</i>
ირმა რატიანი თანამედროვე ტრაგედია და მისი ქართული იმპლიკაციები	7	Irma Ratiani <i>Modern Tragedy and its Georgian Implications</i>
პოეტიკური პრაქტიკები		<i>Poetical Practices</i>
ირაკლი კენჭოშვილი ფრანგული რომანის ორგვარი ათვისება	23	Irakli Kenchoshvili <i>Two Tyres of Perception of French Romance</i>
ლიტერატურის მცოდნეობის ქრესტომათია		<i>Chrestomathy of Literary Theory</i>
რომან იაკობსონი და კლოდ ლევი-სტროსი შარლ ბოდლერის „კატები“	30	Roman Iakobson Claude Levi-Strauss <i>Baudelaire's "Les Chats"</i>
ლექსმცოდნეობა		<i>Theory of Poetry</i>
სალომე ლომოური მეორე მსოფლიო ომის რეფლექსია ქართველ „პოეტ-ჯარისკაცთა“ ლირიკაში	53	Salome Lomouri <i>Reflection of World War II in the Lyrics of Georgian "Poet-Soldiers"</i>
ფილოლოგიური ძიებანი		<i>Philological Researches</i>
მერაბ ღაღანიძე მეფე დიმიტრი თავდადებული და „მეფე დიმიტრი თავდადებული“: ისტორიული მონაცემები და ლიტერატურული თხრობა (ნაწილი პირველი)	84	Merab Ghaghanidze <i>King Dimitri the Self-Sacrificer and "King Dimitri the Self-Sacrificer": Historical Data and Literary Narrative (Part One)</i>

ნესტან კუტივაძე <i>შიო არაგვისპირელის ნოველების გენდერული ასპექტები</i>	101	Nestan Kutivadze <i>Gender Aspects of Shio Aragvispireli's Stories</i>
გიორგი ვაშალომიძე <i>ნათლისღების იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო- სახისმეტყველებითი ასპექტები</i>	117	Giorgi Vashalomidze <i>Iconography of Epiphany and its Theological Aspects</i>
კრიტიკული დისკურსი		<i>Critical Discourse</i>
ნათელა ჩიტაური შორენა შამანაძე <i>იდენტობათა რეკონსტრუქციები და ალტერნატივათა ძიება ქართულ ინტერკულტურულ- მიგრაციულ ტექსტებში</i>	138	Natela Chirauri Shorena Shamanadze <i>Reconstructions of Identities and Looking for Alternatives in Georgian Intercultural- Migration Texts</i>
ნანა ტრაპაიძე <i>კრიტიკა და თანამედროვეობა დროის, როგორც ლიტერატურული გამოცდილების, შუქზე</i>	160	Nana Trapaidze <i>Criticism and Modernity in the Light of Time as a Literary Experience</i>
სოციალისტური რეალიზმის გადააზრებისათვის		<i>Rethinking the Socialist Realism</i>
ჰაიატე სოტომე <i>მოქმედებს თუ არა გველის შხამი სოციალისტურ რეალიზმზე?</i>	192	Hayate Sotome <i>Does Snake Poison Work on Social Realism?</i>
იურატე ლანდსბერგიტე-ბეხერი <i>არარსებული ეპოქა. დაღუპულთა ლექსი და მისი დამოკიდებულება ისტორიასთან</i>	200	Jūratė Landsbergytė-Becher <i>The Epoch that Did Not Happen. The Poem of the Perished and Its Relationship to History</i>

<p>იმანტს ლავინში ლათვიის სსრ-ს დეკორატიული ხელოვნება, გზის ძიება პარტიულ აზროვნებასა და ეროვნულ აზროვნებას შორის</p>	<p>214</p>	<p>Imants Lavins (Laviņš) <i>Decorative Art of the Latvian SSR, Searching the Way Between Party-mindedness and National- mindedness</i></p>
<p>კუნალ ჩატოპადჰაია სოციალისტური რეალიზმის მიღება ბენგალის „პროგრესულ მწერლობაში“ და მისი ალტერნატივები: 1930-დან 1990-იან წლებამდე პერიოდში</p>	<p>225</p>	<p>Kunal Chattopadhyay <i>Reception of Socialist Realism in Bangla Progressive Literature and Alternatives to It: 1930s to 1990s</i></p>
<p>სომა მარიკი ქალები სოციალიზმისთვის ბრძოლაში: ალექსანდრა კოლონტაი და ლილია ჩუკოვსკაია, როგორც სოციალისტური რეალიზმის ალტერნატივები</p>	<p>242</p>	<p>Soma Marik <i>Representing Women in the Struggle for Socialism: Alexandra Kollontai and Lydia Chukovskaia as Alternatives to Socialist Realism</i></p>
<p>რომან ძიკი, ლილია შუტიაკი სოციალისტური რეალიზმის კანონის უკანა მხარე: უკრაინული ლიტერატურის გამოცდილება</p>	<p>259</p>	<p>Roman Dzyk, Liliia Shutiak <i>The Reverse Side of the Socialist Realist Canon: the Experience of Ukrainian Literature</i></p>
<p>იორდან ლუტსკანოვი „ვეფხისტყაოსნის“ სათაურის თარგმანი უცხო ენებზე 1937 წლამდე და მის შემდეგ; კულტურა 2-ის თუ სოციალისტური რეალიზმის მარკერი?</p>	<p>266</p>	<p>Yordan Lyutskanov <i>Translating the Title of Vep'xis- Tq'aosani ('(The /Some)one in an Ounce's Skin' / 'The Ranther-clad one') in Foreign Languages, Before and After 1937: the Mark of 'Culture 2' or of Socialist Realism?</i></p>

კულტურის პარადიგმები		Paradigms of Culture
ლელა წიფურია <i>ეპიდემია ქართულ პროზასა და კინემატოგრაფში: დავით კლდიაშვილისა და ვაჟა-ფშაველას მოთხრობების ეკრანიზაციები</i>	296	Lela Tsiphuria <i>Epidemic in Georgian Prose and Cinema: Film Versions of Stories by David Kldiashvili and Vazha-Pshavela</i>
დებიუტი		Debut
თამთა ღონღაძე <i>დესაკრალიზებული ირმის მითოლოგემა და მოდერნული პარადიგმა ვაჟა-ფშაველას პროზაში</i>	309	Tamta Ghonghadze <i>The Desacralized Mythologeme of the Deer and the Modern Paradigm in Vazha-Pshavela's Prose</i>
ანი ბაიდოშვილი <i>ადამიანის ცნების დეკონსტრუქციის ანალიზი არტურ კლარკის „კოსმოსური ოდისეა 2001-ში“</i>	332	Ani Baidoshvili <i>Deconstruction of the Notion of “Human” in Arthur C. Clarke’s “2001: A Space Odyssey”</i>
გამოხმაურება, რეცენზია		Reviews, Comments
ლევან ბებურიშვილი ნათია სიხარულიძე <i>„ჟამი შეკრებად ქუათა“ (თეიმურაზ დოიაშვილის თხზულებათა ხუთტომეულის გამოცემის გამო)</i>	347	Levan beburishvili Natia Sikharulidze <i>„A Time to Gather Stones“ (About the Publication of Teimuraz Doiashvili’s Five-Volume Works)</i>
ახალი წიგნები	367	New Books
მომზადდა გაგა ლომიძემ		Prepared by Gaga Lomidze

ირმა რატიანი
(საქართველო)

თანამედროვე ტრაგედია და მისი ქართული იმპლიკაციები

თეორიული პრეამბულა

გვიანი რეალიზმისა და ადრეული მოდერნიზმის ესთეტიკამ ბევრი რამ შეცვალა მსოფლიო ლიტერატურაში, მათ შორის, ტრაგედიის ჟანრის კანონი და განვითარების დინამიკა. იმ ფუნდამენტურ ცვლილებებს შორის, რომლებიც ამ პერიოდის ტრაგედიებში გამოიკვეთა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შემდეგი:

- ტრაგედიის ეპიცენტრის ტრანსფორმაცია „გმირიდან“ „მსხვერპლზე“;
- ტრაგედიის სიუჟეტის ჩაქსოვა ყოველდღიურობის რუტინაში;
- ტაბუდადებული თემების გააქტიურება;
- ტრაგიკული პათოსის ტრანსფორმაცია.

აღნიშნული ცვლილებების პიონერი ჰენრიკ იბსენია (1828-1906), რომელიც სამართლიანად ითვლება **თანამედროვე ტრაგედიის** ფუძემდებლად. იბსენმა ტრაგიკული სიუჟეტები სასახლეებისა და მდიდრული ინტერიერების კედლებიდან გარეთ გამოიტანა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გადაანაცვლა; დრამატურგის გადაწყვეტილება, გარკვეულწილად, რომანტიკული ეპოქის ტრაგედიის წიაღში გამომუშავებულ გამოცდილებას დაეფუძნა (ბიუხნერი, შილერი), თუმცა, თუკი ზოგადი მიდგომით ვისარგებლებთ, ის შეეწინააღმდეგა არისტოტელეს თეზას, რომ ტრაგედიის გმირი აუცილებლად „სახელოვანი“ უნდა ყოფილიყო. შედეგად, იბსენის დრამატურგიაში ადგილი აღარ დარჩა არც მაღალი ტრაგიკული პათოსისათვის და არც სახელმწიფოებრივი და პირადი ინიტერესების საბედისწერო შერკინებისთვის. ცნება „ტრაგედია“ ჩაანაცვლა ცნებამ – „ტრაგიკული დრამა“, რაზეც მიუთითებდა კიდევ გეორგ შტაინერი ვალტერ ბენიამინის წიგნის – „გერმანული ტრაგი-

კული დრამის სათავეებთან“ (1925 წ.), წინასიტყვაობაში: თუ ტრაგედია ეფუძნება მითს, ხოლო მისი მოქმედება ემყარება ჰეროიკულ მსხვერპლ-შეწირვას, რომელიც, ტრანსცენდენტული ელემენტების სიუჟეტიდან გამომდინარე, აჯილდოვებს გმირს რწმენით, რომ ის ეთიკურად უტოლდება ღმერთებს, თანამედროვე ტრაგიკული დრამა, პირიქით დატვირთულია ისტორიული დისკურსით, მისი პოლიტიკური და სოციალური იმპლიკაციებით, რაც განაპირობებს მის შინაარსსაც და სტილსაც (იხ. Steiner 1977: 16). შესაბამისად, იბსენის დრამები ორიენტირებულია „კლასობრივი საზოგადოებისათვის“ დამახასიათებელ პრობლემებსა და დილემებზე, სადაც აქცენტირებულია სოციალური დისკურსი და მასთან ერთად – ფემინისტური და ფსიქოლოგიური დისკურსები („თოჯინების სახლი“); პირველად გაიჟღერებს ცნებები – სადომაზოხიზმი, ჰომოსექსუალობა და სხვ. იბსენის პერსონაჟები შეიცნობენ ტყუილით, თვალთმაქცობითა და სიყალბით აღსავე ბრუტალურ სამყაროს, რათა აღმოაჩინონ, რომ მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, ისინი, როგორც ადამიანები, ამ სამყაროს ნაწილს წარმოადგენენ და, მემკვიდრეობით, თავადაც ატარებენ დესტრუქციულ კოდს. იბსენის ტრაგედიები იმთავითვე „ლიბერალურ ტრაგედიებად“ მონათლეს, ვინაიდან ისინი ორიენტირებულია არა ტრადიციულ „ჰეროიკაზე“, არამედ – „ინდივიდ-განმათავისუფლებელზე“, რომელიც ესწრაფვის საზოგადოებასთან/გარემოსთან კონფლიქტს იმ მიზნით, რომ შეიმეცნოს საკუთარი არსებობის ტრაგიზმი და შინაგან განცდად აქციოს იგი („თოჯინების სახლი“, „მოჩვენებები“). იბსენი თანამედროვე ტრაგედიის ახალ მოდელს – **ადამიანურ ტრაგედიას** შემოუძღვება ლიტერატურულ არენაზე, რასაც ევროპულ სივრცეში სხვა ავტორებიც გამოეხმაურებიან: ავგუსტ სტრინდბერგი (1849-1912) – შვედეთში, ჯონ მილინგტონ საინგი (1871-1909) – ირლანდიაში, გერჰარტ ჰაუპტმანი (1862-1946) – გერმანიაში, ანტონ ჩეხოვი (1860-1904) – რუსეთში, ლუიჯი პირანდელო (1867-1936) – იტალიაში, და წარმატებით განავითარებენ „ცოდვილი რეალობისა“ და მასში ადამიანის თვითიზოლირების ტრაგიკულ თემას.

სტრინდბერგი, რომელიც ნატურალისტური ტრაგედიის ოსტატად ითვლება და, რეალურად კი, დრამატურგიის მრავალ სხვადასხვა ხერხსა და მეთოდს იყენებს, კონცეპტუალურად, მუდმივად ადამიანურ ურთიერთობებს უღრმავდება („ბატონი ოლოფი“, „მამა“, „ქალბატონი ჯულია“). მისი პიესების ცენტრალური თემა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაა, რომლებიც, სიყვარულის ძალით და ახალი ცხოვრების ძიების სურვილით შეპყრობილნი, ანგრევენ ერთმანეთს და, საბოლოოდ, ახალი ცხოვრება, რომლისკენაც ისინი ისწრაფვიან, *ურთიერთობითი დანაშაულის* ნანგრევებში აღმოჩნდება. ახალი

ცხოვრების შექმნა შეუძლებელია, მომავალი მათ ტკივილებს, იდეებსა და ილუზიებს ეწირება¹.

დანაშაულისა და ილუზიის წინააღმდეგობრივ სურათს ქმნის თავის პიესებში ლუიჯი პირანდელო. რ. უილიამსი აღნიშნავს: „[პირანდელოს] დრამატული სამყარო აღსავსეა დანაშაულითა და ილუზიით: დანაშაული ურთიერთდაკავშირებული და ჩახლართულია, ხოლო ილუზია – რთული და მყარი, როგორც დანაშაულისაგან გაქცევის ან მასთან შეგუების ერთადერთი საშუალება“ (Williams 1966: 146). პირანდელოს სამყაროში ადგილი აღარ რჩება გულწრფელი ურთიერთობებისთვის, არამედ – მხოლოდ ილუზიებისთვის, რომლებიც ტანჯვასთან გამკლავებაში უნდა დაეხმარონ ადამიანს.

მწერლის სწრაფვა, გადააჯაჭვოს პირადული ტრაგედია საზოგადოებრივთან და – პირიქით, წინა პლანზე გამოდის ანტონ ჩეხოვის დრამებში („თოლია, „ძია ვანია“, „სამი და“, „ალუბლის ბაღი“) ადამიანი საზოგადოების წევრია, შესაბამისად, ადამიანის პირადი კრიზისი და დრამა საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს, ხოლო საზოგადოებრივი – პირადს. არის კი ჩეხოვი ტრაგიკოსი? მისი დრამები ხომ არ მთავრდება მთავარი პერსონაჟ[ებ]ის სიკვდილით და, საერთოდაც, არც არავის სიკვდილით? მაგრამ, ჩეხოვის *ადამიანურ ტრაგედიებში* სასჯელის უმაღლესი ზომა არ არის სიკვდილი, არამედ – ცოცხლად დარჩენა, ადამიანის დაცლა ზნეობრივი ღირებულებებისგან, იმედებისგან, მოლოდინებისგან და სამუდამო უმოქმედობისა და უპერსპექტივობისათვის გაწირვა. ჩეხოვმა ადამიანის არა სიკვდილი, არამედ ცხოვრება აქცია ტრაგედიად. და ეს ყველაფერი იმ პირველი „დანაშაულის“ გაგრძელება იყო, რაც ათასობით წლის წინათ, „ჩაიდინეს“ ძველმა ბერძნებმა, როდესაც ღმერთ დიონისოს პატივსაცემად გამართულ სანახაობრივ შეჯიბრებებში პირველად გადასცეს გამარჯვებულს საჩუქრად საუკეთესო თხა...²

გმირიდან მსხვერპლზე აქცენტის გადატანის პროცესის რეფლექსირებას ვაკვირდებით ქართულ მწერლობაშიც; თუმცა, აღნიშნული მეტამორფოზა, დრამატურგიაზე უწინ, გვიანი რეალიზმის ეპოქის ავტორის – ვაჟა-ფშაველას (1861-1915) პოეზიაში აისახა.

¹ ავგუსტ სტრინდბერგის პიესის – „მამა“ – პრემიერა 1998 წლის 20 სექტემბერს, დიდი წარმატებით, შედგა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში (დამდგმელი რეჟისორი – თემურ ჩხეიძე).

² დიონისოს ფესტივალების წიაღში ჩაისახა ტრაგედიის ჟანრი. იხ. ი. რატიანი, „დრამის შესახებ, ტრაგედია – უძველესი დრამატული ჟანრი“, წიგნში: „ლიტერატურული ჟანრები“, I ნაწილი, თბილისი, 2023.

პირველი რეფლექსია

1880-90-იანი წლებიდან, როდესაც ევროპულმა მწერლობამ გვიანი რეალიზმის მგრძნობელობაში გადაინაცვლა (დოსტოევსკი, ჩეხოვი, გი დე მოპასანი, იბსენი), წინა პლანზე წამოიწია ისეთმა მნიშვნელოვანმა პრობლემებმა, როგორცაა პიროვნების მიერ თავისუფალი ნების ძიება და გაუცხოებული სამყაროს შეცნობის მცდელობა: „რაც უფრო სასტიკი ხდებოდა სამყარო, მით უფრო მეტად იკეტებოდა ადამიანი თავის თავში“ (რატიანი 2018: 130). ვაჟა-ფშაველას პოემები – „ალუდა ქეთელაური“ (1888 წ.), „სტუმარ-მასპინძელი“ (1893 წ.) და „გველის მჭამელი“ (1901 წ.), საშაულებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ ადამიანის სვლას სოციალური „ლიაობიდან“ კლასტროფობიული ჩაკეტილობისაკენ, რაც, დრამის თეორიის ენაზე, „გმირის“ „მსხვერპლად“ ტრანსფორმაციის პარადიგმას ანუ *გმირული პათოსის მსხვერპლის სტატუსით* ჩანაცვლებას ასახავს. აღნიშნულ პოემებს განსხვავებული სიუჟეტები აქვს, მაგრამ ერთი საერთო პრინციპი ამთლიანებს: პიროვნებისა და პიროვნული თვითმყოფადობის დამკვიდრების პრინციპი. „ვაჟა-ფშაველას ყურადღების უმთავრეს საგანს ადამიანი წარმოადგენს, სუბიექტი, რომელიც არსებობს გარკვეული საზოგადოების ანუ ობიექტური გარემოს პირობებში და ცდილობს დამკვიდრდეს მასში, როგორც ინდივიდუალური პიროვნება. ალუდა ქეთელაური მკლავს არ სჭრის მტერს – ქისტ მუცალს, ჯოყოლა ალხასტაისძე კი საკუთარ ჭერქვეშ იფარებს ასევე მტერს – ხევსურ ზვიადაურს. მიუხედავად თემის (როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში) მხრიდან გაწეული წინააღმდეგობისა, არც ალუდა თმობს თავის პიროვნულ პრინციპებს და არც ჯოყოლა. შესაბამისად, სახეზეა კონფლიქტი თემსა და პიროვნებას შორის, უკომპრომისო წინააღმდეგობა, რომლის შედეგიც პიროვნების თემისაგან მოკვეთა გახლავთ“ (რატიანი 2010: 43). ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ბრწყინვალე მკვლევარი, გრ. კიკნაძე აღნიშნული პრობლემის ძალზე საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს, რის შედეგადაც, ალუდაცა და ჯოყოლაც „გმირის“ კატეგორიიდან „მსხვერპლის“ კატეგორიაში გადაინაცვლებენ, კერძოდ კი, გრ. კიკნაძე სვამს კითხვას: რამდენად არის ალუდასა და ჯოყოლას საქციელი თემის ადათ-წესების დარღვევა და, შესაბამისად, რამდენად მართებულია ვაჟას ინტერესის შემოზღუდვა თემის პრობლემით? თუ თემის ადათი ამტკიცებს, რომ დამარცხებულ მტერს მარჯვენა უნდა მოეკვეთოს, თემშივე არსებობს ღირსეული ვაჟაკის პატივისცემის ტრადიცია; თუ თემის ადათი ითხოვს სისხლის აღების წესის დაცვას, თემივე მოუწოდებს ღირსეული სტუმართმოყვარეობისაკენ. შესაბამისად, თუ ვაჟას ცენტრალური გმირები არღვევენ თემის ერთ ადათს, იცავენ მეორეს. „საქმე ისაა, – ასკვნის

მკვლევარი, – რომ თვით თემი შეიცავს ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ, გარკვეულ შემთხვევებში ერთიმეორესთან შეუთანხმებელ ტრადიცია-ადათებს. სწორედ ამიტომ პიროვნება შეიძლება ტრაგიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს... თემის ათასწლოვანი ტრადიციის მოწინააღმდეგედ კი არ გამოდის პიროვნება, არამედ იგი ხდება თემშივე არსებული წინააღმდეგობის მსხვერპლი“ (კიკნაძე 1978: 162).

უფრო გვიანდელ პოემაში „გველის მჭამელი“ (1901 წ.) იმთავითვე აღარსადაა გმირი. პოემის მთავარი პერსონაჟი – მინდია – არ არის გმირი, არამედ – „განსხვავებულია“: „[მინდია – ი.რ.] იმთავითვე რჩეულია. იგი არ ჰგავს თემის დანარჩენ წევრებს, ვინაიდან დაჯილდოებულია სხვებისათვის მიუწვდომელი სიბრძნითა და მიხვედრილობით, აგრეთვე, ნიჭით, ესმოდეს ყოველი სულიერის ენა. რა არის ეს, ცოდნა თუ ინტუიცია? ეს ნამდვილი ცოდნა არ არის ...მინდიას გამეცნიერება არც თავისი შინაარსით და არც თავისი საფუძვლით ჭეშმარიტი ცოდნა არაა... მინდიას ცოდნა მოპოვებული არ არის იმ გზით, როგორც ნამდვილი ცოდნა შეიძინება. ცოდნის დაკარგვაც ისე არ შეიძლება, როგორც ამას მინდიას შემთხვევაში აქვს ადგილი... „გველის მჭამელში“ წარმოდგენილია ბუნების წვდომისა და საჭირო მოქმედების წარმოების გრძნობითი გზა. აქ ცხადად ჩანს ვაჟას აზრი, რომ ბუნებასთან სიახლოვე თავისებური გზით არის შესაძლებელი. ეს გზაა ინტუიციის გზა“ (კიკნაძე 1978: 164). ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მკვლევარს და მიგვაჩნია, რომ მინდიას „ცოდნა“ კონცეპტუალურად ემიჯნება ფრანკენშტაინის „ცოდნას“. „გველის მჭამელში“ ვაჟა-ფშაველამ სერიოზულად გაილაშქრა მეცნიერული პრაგმატიზმის წინააღმდეგ და ნათლად გამოკვეთა სათქმელი: არსებობს სამყაროს აღქმის ალტერნატიული საშუალება – სამყაროს ინტუიტიური შემეცნება, რაც ეწინააღმდეგება მასაში ადამიანების ინტეგრირების პროცესს და ინდივიდუალიზმს უნარჩუნებს თითოეულ სუბიექტს. მინდიას თავისუფლება მის ინდივიდუალიზმშია, მის გამორჩეულ უნარში, შეიმეცნოს სამყარო საკუთარი თავის მიღმა და იყოს არა მრავალთაგან ერთ-ერთი, არამედ ერთ-ერთი – მრავალში. „ინტუიციას მკაფიოდ მორალური სახე აქვს, მისი წარმმართველი პრინციპი ჰუმანურობაა“, – მიუთითებს გრ. კიკნაძე (კიკნაძე 1978: 166) და, როგორც კი შეეცდება მინდია, რომ სხვებს დაემსგავსოს, ის კარგავს თავის უნიკალურ უნარს, მასთან ერთად კი საკუთარი „რჩეულობის“ განცდასაც: „ინტუიციის დაკარგვა დეჰუმანიზაციის რელევანტური პროცესია. კარგავს რა თავის განსაკუთრებულ უნარს, მინდია დადმავალი შეუფლით ეშვება მიწაზე და კარგავს თავისუფლებას. მინდიას ბედნიერება დასრულებულია, ის უყოყმანოდ ირჩევს სიკვდილს“ (რატინი 2010: 44). „ნაწარმოებში სიკვდილი და სიბრძნე ფაქტობრივად გაიგივებულია“ (ვასაძე 2007: 13).

ვაჟა-ფშაველას ტექსტებში გამოკვეთილი ხედვის ეს ახალი პერსპექტივა, მე-19 საუკუნის მიწურულს გაბატონებული დეკადენსის კონცეფციასთან წყვილში, წარმოადგენს პირდაპირ გზას ქართული მოდერნიზმისკენ, პარალელურად ევროპული მწერლობისა, რომლის ჰორიზონტზეც უკვე ცხადად ელვარებს მოდერნიზმის ეპოქა. ანტიკური ტრაგედიების თემები არსად გამქრალა, მაგრამ პრე-მოდერნიზმისა და მოდერნიზმის ეპოქის მწერლები და დრამატურგები ცხადად ჭვრეტდნენ თანამედროვე ცხოვრებასთან მათი ადაპტირების საჭიროებას. ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ამერიკელი დრამატურგის იუჯინ ო'ნილის მთელი რიგი პიესები, რომლებშიც მწერალი უბრუნდება ტრაგედიის ანტიკურ და რომაულ ტრადიციას, თუმცა, წარმატებით ახდენს მათ „გადმოტანას“ „თავისი დროის“ სიბრტყეზე. მაგალითად, ტრაგედია – „ვნება თელების ქვეშ“ (Desire Under the Elms), რომელიც ეფუძნება ფედრასა და ჰიპოლიტოსის მითს და ფოკუსირებულია სექსუალურ ლტოლვაზე დედინაცვალსა და გერს შორის (შესამჩნევი სიუჟეტური ალუზიებით ოიდოპოსისა და მედეას მითებზე), თანდათანობით, სიუჟეტის განვითარების პარალელურად, უახლოვდება მწერლის თანამედროვე კონტექსტს: „პიესაში „ვნება თელების ქვეშ“, – შენიშნავს ბრენდა მერფი, – სხვადასხვა მითების ფრაგმენტების რეკონსტრუქციის გზით, ავტორი თანამედროვე ამბავს გვიყვება; მისი მოდერნისტული ფუნქციაა შექმნას ახალი მითი, რომელიც თანამედროვე ადამიანის გასაჭირს წარმოაჩენს“ (მერფი 2005: 496). იგივე ტენდენციას ვაკვირდებით ტრილოგიაში – „გლოვა – ელექტრას ბედისწერა“ (Mourning Becomes Electra). ამ უკანასკნელის შესახებ ფრედერიკ კარპენტერი წერდა „პირველ ორ ნაწილში იუჯინ ო'ნილი მიჰყვება მითის ძველბერძნულ ვერსიას, თუმცადა, თარგმნის კლასიკურ მითს თანამედროვე ფსიქოლოგიის ენაზე; ტრილოგიის მესამე ნაწილში კი ის თავის საკუთარ მითს ქმნის“ (Carpenter 1979: 127).

დავით კლდიაშვილი და თანამედროვე ქართული ტრაგედია

ვაჟა-ფშაველას ტექსტებში აღებული გეზი წარმატებით გაგრძელდა დავით კლდიაშვილის (1862-1931 წ.წ.) შემოქმედებაში. *თანამედროვე ტრაგედიის* ფუძემდებლების – იბსენის, სტრინდბერგის, პირანდელოს, ჩეხოვის – მსგავსად, ქართველმა დრამატურგმაც შეძლო მისი დროის ტრაგიკული კოდის წაკითხვა, როდესაც სოციალური სიდუხჭირისა და მწვავე სულიერი კრიზისის ფონზე, ადამიანის არა სიკვდილი, არამედ ცხოვრება აქცია ტრა-

გედიად, ხოლო ამ ჟანრული ტრანსფორმაციის წარმოსაჩენად, ტრაგიკულ სიუჟეტებში უხვად ჩააქსოვა გროტესკული და კომიკური ელემენტები. ქართველი ავტორის შემოქმედებითი სტილი შეიძლება შეფასდეს, როგორც თანამედროვე ტრაგედიის კონცეპტის წარმატებული „ქორწინება“ შექსპირისეულ ტრაგიკ-კომიკურ ნარატივთან.¹ თეორიული თვალსაზრისით კი, ამ „ქორწინების“ შედეგი ქართული *თანაგრძნობის თეატრის* ფორმირებაა.

„დარისპანის გასაჭირი“ (1903 წ.). წიგნში „დავით კლდიაშვილის თეატრი“, ვასილ კიკნაძე წერს: „დარისპანის გასაჭირი ქართულ დრამატურგიაში სრულიად ახალი მოვლენაა. მანამდე ქართული დრამატული მწერლობა ასე სრულყოფილ ტრაგიკომედიას არ იცნობს“ (კიკნაძე 1973: 46). საგნებით ვეთანხმებით მკვლევარის აზრს იმის თაობაზე, რომ კლდიაშვილის პიესა „დარისპანის გასაჭირი“ ახალი ეტაპის მაუწყებელია ქართულ დრამატურგიაში, თუმცაღა, მიგვაჩნია, რომ „დარისპანის გასაჭირი“ წარმოადგენს *თანამედროვე ტრაგედიას*, რომელიც უახლოვდება, მაგრამ სრულად არ უდრის შექსპირისეული ტრაგიკომედიების პათოსს: კლდიაშვილის პიესა, სტილისტურად – ტრაგიკულისა და კომიკურის სინთეზით, აგრეთვე, გროტესკულის აქცენტებითა და ფილოსოფიური სიცილით – პროშექსპირიანული ტრაგიკომედიის სულისკვეთების მატარებელია, თუმცაღა, კონცეპტუალურად, თავისი ეპოქის ესთეტიკურ მოთხოვნებს პასუხობს და იბსენის, ჩეხოვისა და თანამედროვე დრამის სხვა ფუძემდებლების *სიღრმისეული ტრაგიზმის* ქართულ ანალოგს წარმოადგენს. ტექსტის დრამატიზმს მასში რეფლექსირებული რეალობა განაპირობებს: მომაკვდავი კლასის – აზნაურების – უკიდუ-

¹ დღეს აღარავინ დაობს იმაზე, რომ უილიამ შექსპირმა, როგორც დრამატურგმა, სრულად შეითვისა მის ეპოქამდე არსებული დრამატურგიული გამოცდილება (როგორც ანტიკური და რომაული, ისე – გვიანი შუა საუკუნეებისა), და ერთდორულად მოახდინა მისი როგორც რეფლექსირება, ისე – რეფორმაც. შექსპირის ლიტერატურული რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი იყო არა მხოლოდ ტრაგედიის ჟანრის „დარბილება“ კომიკური ელემენტებით, არამედ, სულაც ახალი ლიტერატურული ჟანრის – *ტრაგიკომედიის* ფორმირება („ვენეციელი ვაჭარი“, „ზამთრის თქმულება“). შექსპირისეული ტრაგიკომედია წარმოადგენდა გარდამავალ ჟანრს ტრაგედიასა და კომედიას შორის, რაც, როგორც ჩანს, ზუსტად გამოხატავდა დრამატურგის მსოფლმხედველობრივ პოზიციას: თუ შექსპირის ტრაგედიები მრავლად შეიცავდა გროტესკულ და კომიკურ ელემენტებს, კომედიებში, პირიქით, საგანგებოდ იყო მოჩრდილული პიესების კომიკური პათოსი, რასაც ადასტურებს გართულეზული სასიყვარულო და ადამიანური ურთიერთობები და სხვ. („ზაფხულის ღამის სიზმარი“, „აურზაური არაფრის გამო“). სწორედ გაღრმავებული დრამატიზმის გამო, „ვენეციელი ვაჭარი“, რომელსაც, თავდაპირველად, კომედიად მიიჩნევდნენ, მოგვიანებით, კრიტიკოსების მიერ, ტრაგიკომედიების რიგში იქნა გადატანილი.

რესი სოციალური სიდუხჭურე, ეკონომიკური, სულიერი და ზნეობრივი დესტრუქცია, ურთიერთობების კრიზისი, „გმირების აწრიალებული ხეტიალი კარიდან კარს“, „ძიება იმისა, რომ გამართლება და მიზანი მოუწახონ თავიანთ არსებობას“ (კიკნაძე 1973: 46), და მიუხედავად ამ ხეტიალისა და წანწალის ალოგიკურობისა, თავად პერსონაჟთა გროტესკული ქედმაღლობისა და კუდაზიკობისა, თითქმის ფიზიკური ტკივილი ნიაღვარივით გადმოდის ტექსტიდან; დადის დარისპანი თავის „ლაფჩინებითა“ და „იმე-იმეთი“, თან დაატარებს გასათხოვარ ქალიშვილს – კაროჟნას, ეგებ ვინ-მეს მიათხოვოს... მაშ რა ქნას დარისპანმა თუ თავისი სარჩო-საზადებელი გასჭირვებია? როგორ არჩინოს მრავალსულიანი ოჯახი? „დავათრევ ამ ჩემს ქალბატონს ყოველგან, – ჩივის დარისპანი, – ნათესავებში, კეთილებში, დღეობებში, – ეგებ ვისმეს ან მოეწონოს, ან ვინმემ სხვანაირ გუნებაზე თვალი გადაავლოს და გამანთავისუფლოს მაგისაგან!“ (კლდიაშვილი 1995: 347). ერთ მხარეს დგას დამცირებული და შეურაცხყოფილი ქალიშვილი („ე შვილი კიდეც დამიბერდა, დამიუშნოვდა“, „დაჯდომა თუ ერთ მოასწრო, ააყენებ ზეზე?“), იქვე, გვ. 347-348), მეორე მხარეს კი – მონდომებული და დარდიანი მამა („წანწალმა მომკლა... ეგებ ერთი კი გავათხოვო“, იქვე, გვ. 347); ქალიშვილს თანდათან ზიზღი ეპარება, მამას – დაღლილობა... პიესის კულმინაციას წარმოადგენს კაროჟნასა და ნატალიას „შეჯიბრის“ სცენა, რომელიც კომიკუ-რი ანტურაჟის მიუხედავად, არსობრივად ტრაგიკულია: როგორი ჟინით ეჯიბრება ერთმანეთს „გარმონიკზე“ დაკრულ ცეკვაში ორი გასათხოვარი ქალიშვილი, ეგებ თავი მოაწონონ საცოლო ყმაწვილს – ოსიკო ხარებაძეს, რომელიც, თავის მხრივ, „უმზითვო ქალის“ შერთვას სულაც არ გეგმავს. „აქვს რამე?“ – კითხულობს სასიძო... ზუსტად შენიშნავს ვასილ კიკნაძე: „მისი [კაროჟნას – ი.რ.] ცეკვა ცარიელ დარბაზში წარმოდგენილ ტრაგედიასა ჰგავს...“ (კიკნაძე 1973: 54). მარცხი და იმედგაცრუება ისადგურებს ტექსტში, ისევ მიუყვება გზას ხელმოცარული მამა-შვილი, ისევ ოხრავს დარისპანი, ისევ დუმს კაროჟნა...

„ირინეს ბედნიერება“ (1897 წ.). თუკი „დარისპანის გასაჭირი“, ტრაგიკული მიზანდასახულობის მიუხედავად, მაინც მჭიდროდ ესაზღვრება ტრაგი-კომედიის შექსპირისეულ ტრადიციას, კლდიაშვილის მეორე პიესა – „ირინეს ბედნიერება“ დაცლილია ტრაგი-კომიკურობისაგან და სერიოზული დრამის სივრცეშია გადანაცვლებული. პიესის შინაარსი ბანალურია (სიყვარული, ვნება, ეჭვიანობა...), თუმცადა, პერსონაჟთა გალერეა – უაღრესად ცოცხალი და სიღრმისეულია, გამორჩეული თანამედროვე დრამისათვის დამა-

ხასიათებელი ფსიქოლოგიზმითა და შინაგანი წინააღმდეგობებით¹. პიესის ცენტრალური პერსონაჟი – ირინე, თავისი ძლიერი ხასიათითა და ღირსების გრძნობით, ვფიქრობთ, ენათესავება ლოპე დე ვეგასა და ტირსო დე მოლინასა მიერ შექმნილ „ძლიერი ქალების“ გალერეას. ირინე სრულად ისიგრძეგანებს თავის მძიმე ხვედრს, შეიცნობს საკუთარი ფსევდო-ბედნიერების ტრაგიზმს და კიდევაც იბრძვის გადასარჩენად, მაგრამ – ამაოდ: პი-ესის დასასრულს, ეჭვიანობისაგან თვალდაბნელებული აბესალო ხანჯლით გაიწევეს ირინესა-კენ... კვდება ირინე თუ – არ კვდება? ეს შეკითხვა ისეთივე უმნიშვნელოა პიესის ავტორისათვის, როგორი უმნიშვნელოც იყო მისი თანამედროვე ევროპელი დრამატურგებისთვის. ირინეს ფიზიკური სიკვდილი მხოლოდ ფასადად დარჩებოდა; ირინე სულიერად კვდება და – ესაა მთავარი: „ნეტავი მართლა და მოვეკალი... – შეჰქვითინებს ქალი მამას, – მაინც ამით არ გათავდება?... აი, ჩემი ბედნიერება, მამა!.. ხომ ხედავ?.. ხომ ბედნიერი ვარ!.. ხომ ბედნიერი ვარ, ჩემო მამა, ა?!“ (კლდიაშვილი 1995: 340).

კლდიაშვილის სწორედ ამ ორი პიესით – „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“ – შედგა ევროპული *თანამედროვე ტრაგედიის პრემიერა* ქართულ ეროვნულ დრამატურგიაში.

„სამანიშვილის დედინაცვალი“ (1897 წ.). მიუხედავად იმისა, რომ „სამანიშვილის დედინაცვალი“ არ არის პიესა, მისი წაკითხვა სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ერთის მხრივ, *თანამედროვე ტრაგედიის მხატვრული მოდელის*, ხოლო მეორეს მხრივ – ლესინგის *თანგრძნობის თეატრის* თეორიულ ჭრილში.

ცრემლში განზავებული სატირა და იუმორი იმთავითვე იქცა დავით კლდიაშვილის მწერლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტად. კლდიაშვილისეული იუმორი დრამატულის, დამაბულის, ხშირად – ტრაგიკულის ესთეტიკურ უკუფენას წარმოადგენს; კლდიაშვილის დრამატურგიაში იუმორმა პაროდირების თითქმის შუასაკუნეობრივი სიღრმე (რაბლე, სერვანტესი) და ამალორპინებელი (დაკარგულ ღირებულებათა) ფუნქცია შეიძინა. რატომ – „თითქმის“? ახსნა თავად ცნების განმარტებაში, აგრეთვე, დავით კლდიაშვილის შემოქმედების თავისებურებაში უნდა ვეძიოთ.

მონოგრაფიაში „ტექსტი და ქრონოტოპი“ (2010), განვმარტავდით რა **პაროდის** და განვიხილავდით პაროდის ბახტინისეულ ინტერპრეტაციას, მივუთითებდით: „პაროდია, მისი კლასიკური გაგებით, არის ბაძვა, რომლის

¹ იხ. ვ. კიკნაძე, ქართული ფსიქოლოგიური დრამის სათავესთან...“. წიგნში: „დავით კლდიაშვილის თეატრი“. გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1973. გვ. 20-46.

წიაღშიც აღინიშნება ბაძვის საგნის დამახინჯება. „დამახინჯება“ ამ შემთხვევაში გულისხმობს მისაბადი საგნის სატირულ-ირონიულ იმიტაციას. პაროდის ძირები ანტიკური ეპოქის ლიტერატურაშია საძიებელი (არისტოფანე, ლუკიანე, აპულეიუსი), ხოლო ლიტერატურული ასახვის სპეციფიკურ ხერხად მისი ტრანსფორმირება – აღორძინების ეპოქაში (რაბლე, სვიფტი, სერვანტესი). ლიტერატურული პაროდირების განმსაზღვრელ მახასიათებელს ე.წ. **მოტივთა დამდაბლება** წარმოადგენს, რაც მოტივთა სტრუქტურული ამბივალენტურობითა და გროტესკული მატერიალიზაციითაა აღნიშნული“ (რატიანი 2010: 84). დამდაბლების ამბივალენტურობა, მიხაილ ბახტინის თეორიაში, დიქოტომიების გამთლიანებით მიიღწევა: „დამდაბლება, ერთი მხრივ, გულისხმობს რადიკალურ „დაღმასვლას“, დაშვებას ციდან მიწაზე, – წერს ბახტინი, – მეორე მხრივ კი – აღმასვლასა და თავიდან დაბადებას. „დაღმასვლა“ და „აღმასვლა“... ერთმანეთთან გენეტიკურად დაკავშირებული ცნებებია. „დაღმასვლა“ და „აღმასვლა“ მიწის რელევანტურ კატეგორიებს წარმოადგენენ. მხოლოდ, პირველი მოიცავს მიწას როგორც შთანმთქმელს (სამარე ან საშო), მეორე – როგორც მშობელს (საშო)“ (რატიანი 2010: 84). თუმცაღა, ბახტინი იქვე მიუთითებს, რომ პაროდის ეს სიღრმისეული შუასაუკუნეებრივი დატვირთვა მნიშვნელოვნად კარგავს თავის მაკოორდინებელ ფუნქციას თანამედროვე ლიტერატურაში: „შუა საუკუნეების პაროდია სრულიადაც არ ჰგავს ახალი დროის ფორმალურ ლიტერატურულ პაროდას. ლიტერატურული პაროდია, მგავსად ნებისმიერი სხვა პაროდისა, ამდაბლებს, მაგრამ ეს დამდაბლება წმინდად უარყოფით ხასიათს ატარებს და მოკლებულია ამღორძინებელ ამბივალენტურობას. ამიტომაც, პაროდის, ისევე როგორც დამდაბლების თვისების მქონე სხვა ჟანრებს, ახალი დროის პირობებში, არ ძალუძს თავისი წინანდელი უდიდესი მნიშვნელობის შენარჩუნება“ (Бахтин 1986: 314). მონოგრაფიაში „ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში“ (2005 წ.), ჩვენ თავს უფლება მივეცით და არ დავეთანხმეთ მიხაილ ბახტინს მსჯელობის დასკვნით ნაწილში, ვინაიდან მივიჩნით, რომ: „პაროდირება, როგორც ასახვის სპეციფიკური ხერხი, იმთავითვე იქცა ლიტერატურული ანტიუტოპიის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ჟანრულ კანონად... ანტიუტოპიურმა ჟანრმა აღადგინა და განავითარა შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის ლიტერატურაში გამოვლენილი მისი არაერთგვაროვანი, ამბივალენტური გააზრება“ (რატიანი 2010: 85). მაგრამ ის, რაც წარმატებით მუშაობს ერთი ლიტერატურული ჟანრის – ანტიუტოპიის შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობრივ რეალიზდება სხვა ლიტერატურული ჟანრის, კერძოდ, *თანამედროვე ტრაგედიის* შემთხვევაში: დავით კლდიაშვილის ტექსტებში („სამანიშვილის დედინაცვალი“, „დარისპანის გასაჭირი“ „სოლომან მორბე-

ლაძე“ „ქამუშაძის გაჭირვება“, „ირინეს ბედნიერება“ და სხვ.), რომლებსაც მიუხედავად მათი ჟანრული კუთვნილებისა (მოთხრობაა თუ პიესა) *თანამედროვე ტრაგედიის* ნიმუშებად მივიჩნევთ, პაროდირება ბაძვის საგნის დამახინჯების ანუ მისაბამი საგნის სატირულ-ირონიული იმიტაციის მიზნით იწერება, რაც შეესაბამება კიდევ პაროდირების შუასუკუნეებრივ ტრადიციას, თუმცა, განსხვავებით იმავე შუასუკუნეებრივი ტრადიციისგან, კლდიაშვილისეული პაროდია *ამდაბლებს* მოტივებს წმინდად უარყოფითი მნიშვნელობით, რაც უკვე „ახალი დროის“ მოხონებს შეესაბამება და, თავად ტექსტში, სრულიად მოკლებულია ამდღორძინებელ ამბივალენტურობას. ნუ-თუ კლდიაშვილისეული პაროდია „ახალი დროის ფორმალური ლიტერატურული პაროდიაა“ (მ. ბახტინი)? ვფიქრობთ, რომ – არა; არგუმენტად კი ის მიგვაჩნია, რომ კლდიაშვილი არც კი მიელტვის პაროდის ამდღორძინებელი ფუნქციის დემონსტრირებას ტექსტში: *ეს ფუნქცია მას შეგნებულად გააქვს ტექსტიდან გარეთ და მკითხველისკენ/მაყურებლისკენ მიმართავს; მკითხველი/მაყურებელი აკვირდება კლდიაშვილის პერსონაჟების, კონკრეტული სოციალური ფენის – გადატაკებული აზნაურების – არა მარტო შეჭირვებულ მდგომარეობას, არამედ იმ ქმედებებსა და შედეგებს, რაც ამ შეჭირვებულ მდგომარეობას მოსდევს, და ეთიკური ტრანსფორმაციის ურთულეს ფაზებს გადის: ერთის მხრივ, მკითხველი/მაყურებელი თანაუგრძნობს პერსონაჟს, მეორეს მხრივ, ფიქრობს პერსონაჟის დეგრადირებულ მორალურ ვალდებულებებზე, ბოლოს კი – თავიდან იბადება: მკითხველი/მაყურებელი აღორძინდება პერსონაჟის ნაცვლად, რათა გაამთლიანოს ლიტერატურული პაროდირების ამბივალენტური პროცესი. ეს გზა არ გადის არისტოტელესეულ შიშსა და სიბრალულზე, არამედ – ლესინგისეულ თანაგრძნობაზე: კლდიაშვილმა შეძლო სიცილის ორგემაგე ბუნების რეალიზება – სიცილისა საკუთარ უსუსურობაზე და სიცილისა გარესამყაროზე, რასაც დრამატიზმის მძიმე ელფერი დაჰკრავდა.*

„იგი სწორედ შეეცოდებოდა კაცს, თვით ამბავი სასაცილო რომ არ ყოფილიყო“, – წერს ქართველი კლასიკოსი მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“. რომ არა კომიკური ანტურაჟი, რომელიც წარმოადგენს „სამანიშვილის დედინაცვლის“ ამბის ბირთვის – ორჯერ განათხოვარი და უშვილო ქალი (პაროდია რაინდული რომანების მამიებელ პერსონაჟებზე) – ეს ამბავი იქნებოდა კიდევ ერთი მოსაწყენი აღწერა იმ ტრაგიკული სოციალური კატაკლიზმებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში. მაგრამ, კომიკურის აღმოჩენას დრამატულში და დრამატული სიტუაციის იუმორით შენიღბვას დავით

კლდიაშვილმა მხატვრული ასახვის მეთოდის სახე შესძენა, რითაც, ერთი შეხედვით, ბანალური ამბავი *თანამედროვე ტრაგედია*დ გარდაქმნა.

ამბავი კი ასეთია:

გადარბეზული აზნაური, პლატონ სამანიშვილი, რომელიც ძლივს ახერხებს საკუთარი ოჯახის რჩენასა და გამოკვებას, თავზარდაცემულია ქვრივი მამის, ბეკინას, გადაწყვეტილებით, შეირთოს ცოლი! მამა და შვილი ერთ სახლში, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ და იყოფენ იმ მცირედს, რაც გააჩნიათ. მაგრამ მამის გადაწყვეტილებამ შეიძლება ერთბაშად დაარღვიოს ეს ჰარმონია: გამორიცხული არ არის, რომ მამის ახალმა ცოლმა ბავშვი გააჩინოს, ხოლო ბავშვი არა მარტო ძმა იქნება მთავარი პერსონაჟისთვის, არამედ – მემკვიდრეობის მოცილვე! მემკვიდრეობის თემა, ცხადია, არ წარმოადგენს ქართული ლიტერატურული ნარატივის ორიგინალურ ფაბულას – ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა ხალხისა და ეპოქის ლიტერატურებისათვის, განსხვავებას კი მწერლების მიზანდასახულობა, ოსტატობა და შემოქმედებითი შესაძლებლობები ქმნის: სიუჟეტი ან ბანალურ დონეზე დარჩება, ანაც ძლიერ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მუხტს შეიძენს და სამუდამოდ აღიბეჭდება მკითხველის მეხსიერებაში. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ავტორი ორი არჩევანის წინაშე დგას: ა) მაქსიმალურად გაამუქოს ფერები და დრამატიზმით დატვირთოს თავისი პერსონაჟების ისედაც აუტანელი ყოფის სურათი; ბ) აღმოაჩინოს დრამატულში კომიკური და გარდაქმნას ის ფილოსოფიურ სატირად – მოახდინოს მოტივების პაროდული დამდაბლება, სატირულ-იორონიული ბაძვის გზით. დავით კლდიაშვილი მეორე გზას ირჩევს: მომავალი დედინაცვლის შერჩევას პოტენციური გერი ითავებს და შეუდგება დედინაცვლის ძიების რთულსა და ტრაგიკომიკურ გზას. ტრაგიკომიკურობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პერსონაჟი – პლატონ სამანიშვილი, მიზნად დაისახავს, მოძებნოს, სულ მცირე, ორჯერ განათხოვარი ქალი, რომელსაც წინა ქორწინებებში შვილი არ ჰყოლია და, შესაბამისად, ვერც მის მამას – ბეკინას მიანიჭებს ამ ბედნიერებას! არადა, „კაცი ბჭობდა...“ სათუთად შერჩეული დედინაცვალი ვაჟს გააჩენს, რაც პლატონ სამანიშვილის მამის ქონების ერთადერთი მემკვიდრის სტატუსს წაართმევს და სამუდამოდ გაანადგურებს მის მორალურ ღირებულებებს: „ბიჭო, მე რას მიპირობ, მე, მოხუცებულ კაცს?! – შეკვნესის ბეკინა სამანიშვილი პლატონს, რომელიც უარს ამბობს მამაზეც და მის ახლადშობილ ვაჟზეც, – ნუ მისპობ წუთისოფელს, ორიოდ დღე დამრჩენია მხოლოდ სასიცოცხლოდ!.. ბიჭო, მამა ვარ შენი, რაც უნდა იყოს!.. ბიჭო, შებრალება აღარ იციან თქვენში?“, – ევედრება შვილს ბეკინა, და პასუხად იღებს: „მე ჩემიც ბევრი მყავს მოსავლელი! ჩემი ტვირთიც მეყოფა... მე შემობრალა ვინმემ?!“ (კლდიაშვილი 1995: 175). არავინ კვდება ფიზიკურად, მაგრამ

სახეზეა პერსონაჟის – პლატონ სამანიშვილის – სულიერი სიკვდილი და უპერსპექტივო მომავალი, ის, ბედის განგებით, შედის გვირაბში, რომლის ბოლოსაც სინათლე არ ჩანს¹. მითხველი/მაყურებელი კი, რომელიც თვალს ადევნებს პლატონ სამანიშვილის ცხოვრების პერიპეტიებს, ჭეშმარიტად რთულ შინაგან ტრანსფორმაციის განიცდის: ის ხომ *თანამედროვე ტრაგედიის* მკითხველია/მაყურებელია, რომელსაც აღარ მოეთხოვება მითის წაკითხვა ან გმირის ჰეროიკული მსხვერპლშეწირვის განცდა; ის აღარ „კანკალებს შიშისგან“ და აღარ „თრთის სიბრალოლისგან“ (არისტოტელე), არამედ – *თანაუგრძნობს* (ლესინგი); მითხველი/მაყურებელი, რომელიც პერსონაჟის სრული დამდაბლებისა და დეგრადაციის მომსწრეა, თავად იძენს ამალორძინებელ ენერგიას, როგორც რეციპიენტი, ითავსებს ტექსტის „კონსტიტუციური ელემენტის“ (მ. ბახტინის ტერმინი) ფუნქციას, და თავიდან იბადება, რათა საკუთარი ცხოვრების გვირაბის ბოლოს დაინახოს სინათლე.² *თანამედროვე ტრაგედიის* ჟანრის თანახმად, მწერალი დავით კლდიაშვილი აღწევს მიზანს: პაროდის ამალორძინებელი ამბივალენტურობა განხორციელებულია თანამგრძნობი მკითხველის დახმარებით; „*ადამიანი ყველაზე დიდი თანაგრძნობის უნარით ხომ საუკეთესო ადამიანია?*“, კითხულობდა ლესინგი (Lessing 1998: 99). სწორედ რომ კლდიაშვილის შემოქმედებას მიემართება ლესინგის სხვა ფრაზაც:

„რას იტყვით, ერთ შეხედვით, უმნიშვნელო მგმინავ მსხვერპლთა შესახებ, რომლებსაც მარჯვენას მარცხენასაგან გარჩევაც კი უჭირთ? განა ვინმე უარყოფს, რომ ისინი ჩვენს თანაგრძნობას იმსახურებენ?“ (Lessing 1998: 100)

დამოწმებანი:

Bakhtin M. M. “Tvorchestvo Fransua Rable i Nrodnaya Kul'tura Srednevekov'ya i Renessansa”. v Knige: Bakhtin M. M. *Literaturno-kriticheskiye Stat'i*. M.: khudozhestvennaya literatura, 1986 (Бахтин М. М. *Творчество Франсуа Рабле и народная культура средневековья и Ренессанса*. В книге: Бахтин М. М. *Литературно-критические статьи*. М.: Художественная литература, 1986).

Carpenter, Frederic Ives. *Eugene O'Neill. Biography Autobiography*. Twayne Publishers, 1979.
K'ik'nadze, Gr. “Vazha-Pshavela Khuti P'oema”. Ts'ignshi: *Lit'erat'uris Teoriisa da Ist'oriis Sak'itkhebi*. Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomtsemloba, 1978) (კიკნაძე, გრ. „ვაჟა-

¹ ვინძლო აქ აბელისა და კაენის ბიბლიური მითის ალუზიაზეც შიძლება საუბარი.

² ეს სტილისტური გადაწყვეტილება უახლოვდება ზ. ფროიდის სუბლიმაციის თეორიას.

- ფშაველა ხუთი პოემა“. წიგნში: *ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978).
- K'ik'nadze, V. *Davit K'ldiashvilis Teat'ri*. Tbilisi: gamomtsemloba „khelovneba“, 1973) (კიკნაძე, ვ. *დავით კლდიაშვილის თეატრი*. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1973).
- K'ldiashvili, D. *Tkhzulebani Or T'omad. T. II*. Tbilisi: gamomtsemloba „sakartvelo“, 1995 (კლდიაშვილი, დ. *თხზულებანი ორ ტომად. ტ. II*. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1995).
- Lessing, Gotthold, E. (1767-68). In: *Tragedy. Developments in Criticism*. A Casebook. Edited by R.P. Draper. Macmillan, 1998.
- Murphy, Brenda. Tragedy in the Modern American Theatre. In the book: *A Companion to Tragedy*. Ed. By Rebecca bushnell. Blackwell Publishing, 2005.
- Rat'iani, I. *Kartuli Mts'erloba da Msoplio Lit'erat'uruli P'rotsesi*. Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomtsmeloba, 2018 (რატიანი, ი. *ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018).
- Rat'iani, I. *T'ekst'i da Kronot'op'i*. Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomtsmeloba, 2010 (რატიანი, ი. *ტექსტი და ქრონოტოპი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010).
- Steiner, Georg. *Introduction to the book: Benjamin, Valter. The Origin of German Tragic Drama*. London: NLB, 1977.
- Vasadze, T. *Lit'erat'uruli St'at'iebi. Pragment'ebi. Masts'avleblis Megzuri*. Tbilisi: gamomtsemloba „diogene“, 2007 (ვასაძე, თ. *ლიტერატურული სტატიები. ფრაგმენტები. მასწავლებლის მეგზური*. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2007).
- Williams, Raymond. *Modern Tragedy*. Stanford, California: Stanford University Press, 1966.

Irma Ratiani
(Georgia)

Modern Tragedy and its Goergian Impications

Summary

Keywords: Modern Tragedy, Georgian Literature, Reflection, David Kldiashvili.

The aesthetics of late realism and early modernism brought about great changes in the world literature, including the canon and dynamics of the genre of tragedy. Among the fundamental changes revealed in the tragedies of this period, the following deserve special mention:

- Transformation of the epicenter of the tragedy from “hero” to “victim”;
- Weaving the history of tragedy into everyday life;
- Activation of taboo topics;
- Transformation of tragic pathos.

The pioneer of these changes is Henrik Ibsen (1828-1906), who is rightly considered the founder of *Modern tragedy*. Ibsen took the tragic stories out of the walls of palaces and luxurious interiors and transferred them to everyday life. Ibsen's characters explore a contradictory world full of lies, hypocrisy and forgery, only to discover that, despite their opposition, they, as human beings, are part of this world and, by inheritance, carry the destructive code themselves. August Strindberg, John Millington Saing, Gerhart Hauptmann, Anton Chekhov, Luigi Pirandello are successfully working in the same direction, developing the tragic theme of "sinful reality" and human self-isolation in it.

The process of shifting the focus from the hero to the victim was also reflected in Georgian writing. This metamorphosis was first reflected in the work of the genius author of the late realism era, Vazha-Pshavela – “Snake Eater”. The main subject of Vazha-Pshavela's attention is a person, an individual who exists in the conditions of a certain society, i.e. objective environment and tries to establish himself in it as an individual person. As a result, he finds himself in fatal conflict with society. This new perspective of vision expressed in Vazha-Pshavela's texts, coupled with the concept of decadence, represents a direct path to Georgian modernism in parallel with European writing, where the era of modernism is already shining on the horizon.

This trend was continued with great success in the work of another Georgian classic writer David Kldiashvili, who was able to read the tragic code of his time, when in the midst of social distress and acute spiritual crisis, it was not death, but life, that made human tragedy. Besides, Kldiashvili was famous for an indeep stylistic use of satire and humor. Satire and humor diluted in tears became one of the most important levers of David Kldiashvili's writing. In Kldiashvili's dramaturgy, humor acquired an almost medieval depth of parody (Rabelais, Cervantes) and a reviving (lost values) function. Kldiashvili's humor represented the aesthetic reverse of the dramatic, tense, often tragic, re-opening the social life dilemmas of ordinary people, the extremity of their situation, the crisis of relationships. Kldiashvili's characters are forced to live in lies and illusions, hoping to somehow survive. However, in most cases, illusions are shattered, and this shattering leads to tragic consequences.

David Kldiashvili's two plays – "The Misfortunes of Darispan" and "Irene's Happiness" – premiered European modern tragedy in Georgian national dramaturgy. The dramatism of those texts is determined by the reality reflected in them: the

extreme social poverty of the dying class – the petty nobility, economic, spiritual and intellectual destruction, the crisis of relations. "The Misfortunes of Darispan" is a modern tragedy, bordering on, but not equal to, the pathos of Shakespeare's tragi-comedies: Kldiashvili's play stylistically – with a synthesis of the tragic and comic, as well as with an emphasis on the grotesque-comic and philosophical laughter – carries a pro-Shakespearean spirit, however, conceptually it meets the aesthetic requirements of its era and remains the Georgian analogue of the tragedy of Ibsen, Chekhov and other founders of the modern drama. "Irene's Happiness" is devoid of the genre of tragi-comedy and stands as a serious drama. The central character of the play – Irene, with her strong character and sense of dignity, is related to the gallery of "strong women" created by Lope de Vega and Tirso de Molina. Irene fully understands her plight, learns the tragedy of her own pseudo-happiness and even struggles to save herself, but – in vain. The writer moves the physical death of the character to the background – Irene dies spiritually.

Although the third text of Kldiashvili discussed in the article – "Samanishvili's Step-Mother" – is not a play, we believe that its interpretation is quite appropriate in terms of the fragile model of *Modern tragedy* and Lessing's *Theater of sympathy*. In this text, the regenerative function of parody is implemented, against the background of strengthening the function of the reader. The reader/viewer observes not only the fate of the heroes, representatives of a certain social stratum – an impoverished principality – but also the actions and consequences arising from this misfortune, and goes through the most difficult phases of ethical transformation: on the one hand, the reader/viewer sympathizes with the character, on the other hand, he reflects on the character's degraded moral obligations, and finally – the reader/viewer is reborn. This path leads not to Aristotelian fear and pity, but to Lessingian compassion.

ირაკლი კენჭოშვილი
(საქართველო)

ფრანგული რომანსის ორგვარი ათვისება

XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ვოკალურ ლირიკას, რომელშიც ფართოდ განვითარდა სასიმღერო ლექსის ახალი სახეობანი – ზეპირსიტყვიერებით მოდელირებული სიმღერა, რომანსი და ე. წ. ქალაქური სიმღერა. ეს პროცესი თავისებურად იჩენს თავს ა. ჭავჭავაძის ლექსში „როს გიყვარდი...“, რომელიც 1907-1811 წლებში უნდა იყოს შექმნილი:

როს გიყვარდი სურვით შეყვარებულსა,
მე სიცოცხლე მაშინ მიღირდა ძვირად,
შენთან, შენით, შენგან გალალეზულსა
მქონდენ დღენი სიტკბოების მადინრად.
შენ განგშორდი, ლხინი, შვება, სიამე,
ყველა წარჰხდა, ნანვალა მრჩომია მე.

როს გიყვარდი, თუ ვთქვა, არსნი ყოველნი
ისწრაფოდენ ჩემის გულის თნებასა,
ნიავნიცა, დილეულად მქროლელნი,
შენით მომართ მბერდენ ნეტარებასა.
შენ განგშორდი, ლხინი, შვება, სიამე,
ყველა წარჰხდა, ნანვალა მრჩომია მე.

როს გიყვარდი, ცისაც მანათობელი
სხვა სიამით მცემდა შარავანდედსა,
დროდ მაისი მედგა უცვალელებელი
მარად ვარდთა და ზამბახთა მყნოსველსა.

შენ განგშორდი, ლხინი, შვება, სიამე,
ყველა წარჰხდა, ნანვალა მრჩომია მე.
როს გიყვარდი, მაშინ შენად სამკობლად
ზეციით მუხნი შთამბერვიდენ მე ყურსა,

ლექსნი თხზულად მოერთმოდენ უშრომლად
გონებასა, შენთვის მოცალეზულსა.
შენ განგშორდი, ლხინი, შვება, სიამე,
ყველა წარჰხდა, ნანვალა მრჩომია მე.

როს გიყვარდი, ჩემად საამებელად
მზრუნველობდა თვით ძილიცა უგრძნობი,
თვალდახშულსა მყოფდის შენად მხედველად
საშვებელის სიზმრით ხელის შემწყობი.
შენ განგშორდი, ლხინი, შვება, სიამე,
ყველა წარჰხდა, ნანვალა მრჩომია მე.

ამ ლექსის გენეზისის კვლევას ისეთ ტექსტებამდე მივყვართ, როგორებიცაა: ა. მერზლიაკოვის „შენ მე გიყვარდი...“ („Меня любила ты...“), სათაურით „მას (რონდო)“ (1806), ვ. ჟუკოვსკის „როცა გიყვარდი...“ („Когда я был любим...“) სათაურით „სიმღერა, თარგმანი ფრანგულიდან“ (1807) და ფრანგული რომანსი, რომელიც საფუძვლად დაედო ამ თარგმანებს. მაგრამ ფრანგული წყარო დღემდე უცნობი რჩებოდა და მკვლევრები იძულებულნი იყვნენ იმ დაკვირვებით შემოფარგლულიყვნენ, რომ რამდენადაც ორივე თარგმანი სტილისტურად და ლექსიკურად უაღრესად ახლოსაა ერთმანეთთან, „შეგვიძლია ვილაპარაკოთ ორივე ავტორის მიერ ორიგინალის საკმაოდ ზუსტ გადმოცემაზე“ (Жуковский В. А. Полное собрание сочинений и писем. Т. 1. М.: Яз. рус. культуры. 1999, ც. 459). ასევე ღიად რჩებოდა საკითხი, ა. ჭავჭავაძის „როს გიყვარდი...“ ფრანგული დედნიდანაა გადმოღებული, თუ რუსული თარგმანებიდან.

როგორც გავარკვეით, ამ ქართული და რუსული თარგმანების წყარო ფრანგი პოეტისა და დრამატურგის – ვიქტორ-ჟოზეფ ეტიენ დე ჟუსის (1764-1846) შემდეგი უსათაურო რომანსია:

Quand tu m'aimais, inconstante Sophie,
J'étais heureux, je chérissais le jour;
Tu m'as quitté, je déteste la vie,
Ah! mon bonheur n'était que mon amour.

Quand tu m'aimais, le dieu de l'harmonie
Pour te chanter m'inspirait chaque jour;

Tu me quite, j'ai perdu mon génie:
Ah! mon talent n'était que mon amour.

Quand tu m'aimais, aux larmes accessible
Du malheureux je cherchais le séjour
Tu me quite, mon coeur est moins sensible,
Car mes vertus étaient dans mon amour.

ეტიენ დე ჟუსის ლექსის ა. ჭავჭავაძის თარგმანის ავტოგრაფი არ მოგვეპოვება, ხოლო ერთ-ერთ განსაკუთრებით სანდო ნუსხაში წარმოდგენილია ლექსების რიგში „ნათარგმნი“. ფრანგული წყაროს ავტორის სახელის უქონლობა ამ შემთხვევაშიც და რუსულ თარგმანთა პუბლიკაციებშიც იმით აიხსნება, რომ ავტორის ატრიბუცია პირველად ეტიენ დე ჟუსის მხოლოდ სრულ თხზულებათა კრებულში გვხვდება (1823), ხოლო მანამდე, თვით 1821 წელს გამოცემულ სატრფიალო ლექსების კრებულში *Le Pouvoir de l'Amour*, ეს ლექსი ანონიმურად ქვეყნდებოდა. მხოლოდ ერთგან, სიმღერების კრებულში, *Chansonnier du jour*. Paris, 1802-1803, ლექსს მოსდევს ავტორის ინიციალები: V.J. ეს ფრანგული ლექსი ჩვენთვის საგულისხმო ხანაში გვხვდება აგრეთვე შემდეგ კრებულებში: Johann Friedrich Reichardt, *Le Troubadour italien, français et allemand*, Berlin, 1805; *Le chansonnier de Bacchus*, 1806; *Les roses du Vaudeville ou Chansonnier du Jour*. 1805. შესაძლოა, ეს ლექსი სხვა კრებულებშიც იყო გამოქვეყნებული, რომლებიც ჩვენი ყურადღების მიღმა დარჩა.

დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერთსა და იმავე ხანაში ა. ჭავჭავაძისა და რუსი პოეტების ყურადღება ერთი და იგივე ანონიმური პოეტური ტექსტისადმი ამ უკანასკნელის სიტყვებზე გასპარე სპონტინის ან 1803-1811 წლებში პეტერბურგში მოღვაწე ფარანსუა ადრიან ბუალდიეს რომანსის მოსმენამ განაპირობა. ის დეტალი, რომ ქართულ და რუსულ თარგმანებში რომანსის ზუსტი ადრესატი – *inconstante Sophie* – გამოტოვებულია შესაძლოა იმით აიხსნება, რომ გასპარე სპონტინის ნოტებთან აღნიშნული მიმართვა შეცვლილია ასეთი სახით – *trop inconstante amie*. ცხადია, ამ საკითხზე მსჯელობისას დასაზუსტებელია ეტიენ დე ჟუსის ლექსის სიტყვებზე მუსიკის შექმნის თარიღი.

უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკით მიღებული შთაგონება ვოკალური ლირიკის განვითარების ერთ-ერთი საინტერესო მომენტიცაა. აქ შეიძლება იმის გახსენება, რომ ა. ჭავჭავაძის ლექსების მთელი წყება ამა თუ იმ გავრცელებულ მელოდიაზეა შექმნილი. ეჭვგარეშეა ისიც, რომ მის მიერ ა. გვოზდევის „*Чеп-*

ный цвет“ თარგმანი უპირველესად ამ რომანსის მუსიკალური შესრულებითაა შთაგონებული.

ტექსტუალური შედარება ცხადყოფს, რომ ა. ჭავჭავაძის „როს გიყვარდი...“ ეტიენ დე ჟუსის რომანსის დედანს ეფუძნება. ტაეპი „*მე სიცოცხლე მაშინ მიღირდა ძვირად*“ ახლოსაა არა რუსულ თარგმანებთან, არამედ დედანთან: „*J'étais heureux, je chérissais le jour*“. ასევე, „*ზეციით მუზნი შთამბერვიდენ მე ყურსა, / ლექსნი თხზულად მოერთმოდენ უშრომლად*“, რასაც რუსულ თარგმანებში შესატყვისი არ მოეპოვება, თავისებური ვარიაციაა ამ ტაეპებისა: *le dieu de l'harmonie / Pour te chanter m'inspirait chaque jour*. მხოლოდ ერთი სიტყვა – „*დილეულად*“, რომელიც „*c zapex*“-ს ერთგვარი შესაბამისი უნდა იყოს, გვაფიქრებინებს, ხომ არაა ეს გამომდახილი მერზლიაკოვის თარგმანისა. დედანთან ერთად რუსული თარგმანის გათვალისწინება არ იყო უცხო ა. ჭავჭავაძისათვის. ასე, მაგალითად, თავის ავტოგრაფში ა. ჰიუგოს *A un femme*-ს თარგმანთან ერთად გადაწერილი აქვს ამ ლექსის როგორც ფრანგული დედანი, ასევე დელარიუს მიერ შესრულებული რუსული თარგმანი.

ნათლისღების კომპოზიციაში იოანე ნათლისმცემელი იესო ქრისტეს მარჯვენა ხელს თავზე ადებს, ხოლო მაცხოვარი თავს უდრეკს ნათლისმცემელს, რაც იმ სახარებისეული თხრობის იკონოგრაფიული ასახვაა, რომლის მიხედვითაც იოანე ნათლისმცემელმა მაცხოვარი მონათლა. საინტერესოა, რომ მახარებლები ასე ზედმიწევნით არ აღწერენ იოანეს მიერ მაცხოვრის ნათლისღებას. კერძოდ, სახარებაში ვკითხულობთ, რომ თავდაპირველად, იოანე უარს ამბობს მასთან მისული იესო ქრისტეს მონათვლაზე, თუმცა, შემდეგ უფლის სიტყვებს ემორჩილება და ნათლობას აღასრულებს.

საღვთისმეტყველო ლიტერატურა ცალსახად განაჩინებს, რომ იოანე ნათლისმცემელმა მაცხოვარი საკუთარი (მაკურთხეველი) მარჯვენის თავზე დადებით მონათლა (ასე აღასრულებდა იოანე ნათლისმცემელი ნათლობას სხევების მიმართაც). იესო ქრისტემ, საკუთარი ნათლისღებით (საკუთარი თავის მორჩილად დახრით იოანე ნათლისმცემლის წინაშე) უაღრესად დიდი სიმდაბლე გამოავლინა. აღნიშნული გარემოება სრული სიცხადით აისახა იკონოგრაფიულ გამომსახველობაში.

გრიგოლ ნოსელის მიხედვით, იესო ქრისტემ ნათლისღებისას იოანე ნათლისმცემლის კურთხევისთვის ზეადმართულ მარჯვენას თავი მოუდრიკა: „ზეუკუნიპყრა იოვანე ხელი და თავი მოუდრიკა“ (რაფავა 2020: 129).

იგივეს ამბობს წმიდა იოანე ოქროპირიც: „უფალი ხილვითა კაცებისათა... იორდანესა მდინარესა მოვიდა და მოუდრიკა თავი იოვანეს და უნდა ნათლისღება მისგან“ (რაფავა 2020: 142). კიდევ: „შეახო თავსა უფლისასა ხელი იოვანე“ (რაფავა 2020: 145).

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ნათლისღების იკონოგრაფიაში ჩართულია ანგელოზთა გამოსახულებებიც (რასაც ქვემოთ დაწვრილებით შევხებით). ნათლისღების იკონოგრაფიაში ზეციურ ძალთა გამოსახვის ერთ-ერთი უმთავრეს საღვთისმეტყველო საფუძველს ასახელებს პროკლე კოსტანტინეპოლელი, რომლის თანახმადაც უსხეულო ძალნი გაკვირვებულნი არიან, თუ როგორ უდრეკს თავს განკაცებული ღმერთი ადამიანს: „დღეს წყალსა ზედა იორდანისასა მოვიდა მონისა ხატითა გამოჩინებული და ყოვლად პატიოსანი თავი თვისი მოუდრიკა ხელთა ქუეშე მიწიერისა ბუნებისასა. მნიად უკუე სახილველ იყო ზეცისა ძალთა, ვითარმედ სიგლახაკისა სახითა მოვიდა რა,

ვითარცა კაცი ლიტონი და თავსა თვისსა მოუდრეკს მონასა...“ (რაფავა 2020: 163).

ანგელოზები თავდადრეკითა და მაცხოვრისადმი მიდრეკილი სხეულით გამოსახებიან, რითაც გამოხატულია მათი ქრისტესადმი თაყვანისცემა. ასევე, ანგელოზების მაცხოვრისკენ მიმართული ხელები დაბურულია, რაც უფლისადმი კრძალულებითი დამოკიდებულების გამომხატველია (ილ. 3). აღნიშნული გამომსახველობითი დეტალი ნათლისღების ხატმეტყველებაში, სავარაუდოდ, ბიზანტიის საიმპერატორო კარზე არსებული ეტიკეტიდანაა შესული: როგორც ცნობილია, იმპერატორისთვის რაიმე ნივთის გადაცემა ან მისგან მიღება ჩვეულებრივად კი არ ხდებოდა, არამედ – მისდამი პატივისცემის ნიშნად – ქსოვილით დაფარული ხელებით (ურუშაძე 2017ა: 203). ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში სამღვდლო პირნი ზიარებისას ბარძიმს არა შიშველი ხელებით, არამედ ხელებზე გადაფარებული საგანგებო ქსოვილის (ბაღდადის) მეშვეობით ეხებიან. ამავე ქსოვილის დახმარებით აღესრულება საერო პირთა ზიარებაც.

საგულისხმოა, რომ ნათლისღების ამსახველ, შესაბამის სახარებისეულ თხრობაში ანგელოზები არ იხსენიებიან. იკონოგრაფიაში ანგელოზთა გამოსახვა დაფუძნებულია ეგზეგეტიკური და ჰომილეტიკური ნაშრომების ზემოდამოწმებულ შინაარსზე.

სახარებისეული თხრობის თანახმად, იესო ქრისტე მდინარე იორდანეში ინათლება, რაც ნათლისღების კომპოზიციაში სრული სიცხადით აისახება.

კირილე ალექსანდრიელი ბრძანებს: „დასაბამი სოფლისა არს წყალი, დასაბამი სახარებისა იორდანე არს...“ (რაფავა 2020: 44).

ხატმეტყველებაში მდინარე იორდანის არაერთგვაროვანი გამოსახულებები გვხვდება. მაგალითად, ზოგიერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში მდინარე იორდანე ხაზოვანი (ტალღოვანი) გამოსახულებითაა წარმოდგენილი (ილ. 3), რითაც წარმოჩენილია საეკლესიო სწავლება, რომლის თანახმადაც, ნათლისღებისას მდინარე იორდანე უკუიქცა.

დავითის მიერ დაწერილ 113-ე ფსალმუნი გადმოცემულია წინასწარმეტყველება იორდანეს უკუქცევის შესახებ: „იორდანე უკუნიქცა მართლუკუნ“ (ფს. 113: 3). შესაბამის ეგზეგეზას არაერთი საეკლესიო საკითხავი გვთავაზობს.

წმიდა ნინოს ავტორობით ცნობილ ნათლისღებასთან დაკავშირებულ საკითხავში ვკითხულობთ: „მას ჟამსა იორდანე, დიდი იგი მდინარე, შემ-

რწუნდა შიშითა უხილავისა დიდებისაგან შუენიერებისა ღმრთეებისა და უკუნ-იქცა თვისსავე კუალსა“ (რაფავა 2020: 37).



ილ. 4

იესო ქრისტეს ნათლის-
ღების იკონოგრაფიაში, ხშირად,
მდინარე იორდანეს კალაპოტი
ემბაზის (სანათლაღი ჭურჭელი)
ფორმისაა. რა თქმა უნდა ეს
შემთხვევითი არაა. ემბაზი ადა-
მიანების მოსანათლად გამო-
იყენებოდა, ამას ადასტურებს
ადრეული ხანის ნათლისღების
კომპოზიციები, სადაც ყრმა
მაცხოვარი ემბაზშია გამოსახუ-
ლი (ილ. 4).

ერთ-ერთი ლიტურგიკულ საკითხავში ნათლისღებას „მეორედ შობის საბანელი“ (იგივე ემბაზი) ეწოდება: „განამართლოს უფალმან ერი თვისი მშვიდობით, რომელნი განწმიდნა მადლითა ნათლისღებისათა, და ნუგეშინისცეს მონათა თვისთა, რომელი იჩინნა საბანელსა მას მეორედ შობისასა“ (ურუმაძე 2017ბ: 36).

„მეორედ შობის ემბაზად“ სახელდება სხვა ლიტურგიკული საკითხავი ნათლისღებას (ურუმაძე 2017ბ: 67).

არის ნათლისღების კომპოზიციები, სადაც ცეცხლის გამოსახულებაცაა ჩართული (ილ. 5). ნათლისღების თემატიკასთან ცეცხლის სახისმეტყველება მისადაგებულია. იოანე ნათლისმცემელი მასთან მოსანათლად მისულ ადამიანებს ეუბნება: „მე უკუე ნათელგცემ თქუენ წყლითა სინანულად. ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს... მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (მთ.3:11). იოანე ოქროპირის განმარტების მიხედვით, მაცხოვარი ცეცხლში სულიწმინდის მხურვალეებასა და სასიკეთო ზემოქმედებას გულისხმობს (ოქროპირი 2014: 169).



ილ. 5

დამოწმებულ სახარებისეულ ციტატასთან მიმართებით აღნიშნული წმინდა მამა ერთ-ერთ ჰომილიაში ბრძანებს: „ხოლო სულითა წმიდითა

მიწისაგანი ესე სულიერ-ყოფად, ხოლო ცეცხლითა მით ძლიერითა უშჯულოთა იგი ეკალნი შეწუვად“ (შანიძე 1994: 51).

წმინდა მამის მიხედვით, სულიწმინდის მოქმედების შედეგად მიწიერი ადამიანი სულიერად გარდაიქმნება, ხოლო ცეცხლის მოქმედებაში – ურჯულოების შემუსვრა მოიაზრება.

ტაბის ეპისკოპოს იოანეს მიხედვით, ღვთის ყოვლისშემძლეობის მემკვიდრეობით, ბუნებითი თვისებებით ორი ურთიერთდაპირისპირებული სტიქიონი, ცეცხლი და წყალი ერთმანეთს შეეზავა, რითაც განკაცებული ღმერთის მიერ ადამიანის სულისა და ხორცის ნათლისღებით განწმედა წარმოჩნდა (ურუშაძე 2017ა: 369).

საინტერესოა, რომ ზემო დასახელებულ ილუსტრაციაში, რომელიც მინიატურას (ხელნაწერის ილუსტრაციას) წარმოადგენს, ცეცხლი წყალში ანთია, რაც ზემოდამოწმებული ეგზეგეზის იკონოგრაფიული ასახვაა.

ნათლისღების იკონოგრაფიაში უნდა აღვნიშნოთ ცის სეგმენტი, რომელიც ხშირად ნახევარწრით ან წრით არის წარმოდგენილი და სადაც ადრექრისტიანულ ხანაში ანგელოზები მოგვიანო პერიოდში – „მაკურთხეველი მარჯვენა“ გამოისახება. ასევე, აღნიშნული ცის სეგმენტიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშირად გარდამოდის სხივი (ხშირად სამად განტოტილი), რომელსაც მტრედი „მოჰყვება“.

ზემოაღწერილი იკონოგრაფია წარმოადგენს შესაბამისი სახარებისეულ სიტყვების ილუსტრირებას, რომლის მიხედვითაც „განიხუნე ცანი“, რაც გამოხატავს იმას, რომ ნათელღებულმა უფალმა ადამის შეცოდების გამო დახშული სამოთხის კარი განაღო. დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზას, რომელიც იოანე ოქროპირს განეკუთვნება: „ნათელ იღო იესუ და აღმოვიდა წყლისგან, რამეთუ თანა აღმოჰყვანდა ყოველი ბუნება კაცთა დანთქმული ცოდვითა და იხილნა ცანი განხუმულნი, რომელნი დაუხშნა ადამ თავსა თვისსა და შვილთა თვისთა, ვითარაცა იგი მახვილითა მით ცეცხლისათა“ (ოქროპირი 2014: 179).

კოსტანტინეპოლელი მოძღვრის მიხედვით, მახარებლის მიერ გაჟღერებულ „გახსნილ ცაში“ იმ დაკეტილი სამოთხის კარის განღება მოიაზრება, რომელიც ღმერთმა ადამს დაუხშო.

იგივე მოძღვრებაა გაჟღერებული ერთ-ერთ ლიტურგიკულ საკითხავშიც: „ნათელს იღებს დღეს ქრისტე და აღმოსვლასა მისსა მიერ წყლით აღმოიყვანებს დაბადებულთა დაბნელებულთა ურჩებისაგან და განუხუამს ბჭეთა ცისათა, რომელნი დაჰხშნა ადამ, მამამან ჩუენმან...“ (ურუშაძე 2017ბ: 253).

„მაკურთხეველი მარჯვენა“ წყალში მყოფი ძისკენაა მიქცეული. თითების წყობით მიღებული ჟესტიკულაცია ქრისტიანულ ხატმეტყველებაში (გარდა კურთხევისა) გამოხატავს საუბარსაც, ქადაგებასაც. შესაბამისად, ცის სეგმენტში გამოსახული თითების წყობა გამოხატავს ზემოდამოწმებულ მამის სიტყვებს, რომელიც ძეს მიემართება.

გვიანბიზანტიურ ხანაში, ცის სეგმენტში, არა მხოლოდ მაკურთხეველი მარჯვენის, არამედ თავად მამის გამოსახულებასაც ვხვდებით.

ნათლისღების თითქმის ყოველ ხატმეტყველებით ნიმუშში, „მაკურთხეველი მარჯვენიდან“ გამოდის სხივები, რომელიც მაცხოვრის გამოსახულებისკენ მიემართება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში, სხივების ფონზე ხშირად ზეციდან მტრედი ეშვება, რომელიც მაცხოვრისკენ მიემართება.

სხივები გამოხატავს ნათლის სახით გამოხატულ სულიწმინდის მადლს. ამას მოწმობს იესო ქრისტეს ნათლისღებასთან დაკავშირებული ეგზეგეტიკურ-ჰომილეტიკურ ლიტურატურაში წარმოდგენილი შესაბამისი სწავლებანი.

წმიდა იოანე ოქროპირი, ნათლისღებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ჰომილიაში, დავწვრილებით საუბრობს საღმრთო ნათლის შესახებ. მას არაერთი მაგალითი მოჰყავს წმინდა წერილიდან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და სად განცხადდა ნათლის სახით საღვთო მადლი. საბოლოოდ, კი, დაასკვნის, რომ „დღეს მოვიდა ყოველსა დაბადებულსა და ნათლითა მით ღმრთეებისათა ყოველი სოფელი განანათლა“ (რაფავა 2020: 98).

იოანე ტაბიას ეპისკოპოსი ბრძანებს: „და რომელნი ბნელსა შინა ვიყვენით და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი გამოგვიბრწყინდა, განიბანა სოფელმან სიმრავლე იგი ცოდუათა“ (რაფავა 2020: 207).

სხივები, რომელიც ზემოდან ქვემოთ ეშვება და ხშირად, სამად იტოტება, სახისმეტყველებითად, მზის სხივებადაც შესაძლოა აღვიქვათ. „უძველეს იადგარში“ ნათლისღებასთან დაკავშირებულ საკითხავში, უფალს სიმართლის მზე ეწოდება, რომელიც „იორდანესა განიბანა“ (ურუშაძე 2017ბ: 18).

ნათლისღების კომპოზიციაში ხშირად ვხვდებით ჯვრის გამოსახულებას. ზოგიერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში მაცხოვარი ჯვრისსახოვან კვარცხლბეკზე დგას, რომლის ქვეშაც გველი (გველეშაპია) მოყოლილი. ასევე, გვხვდება ცალკეული გველის გამოსახულებები იორდანეში, რომელზეც მაცხოვარი დგას და მუსრავს მას (ილ. 6).



ილ. 6 ლი კაცი და წყლიდან აღმოიშობა ახალი, ცოდვებისგან განწმედილი ადამიანი. პავლე მოციქულის მიხედვით: „ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა-ესე ნათელ-ვიდეთ ქრისტე იესუს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიდეთ? და თანა-დავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდილსა მისსა, რათა ვითარცა-იგი აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისათა, ეგრეთცა ჩვენ განახლებითა ცხოვრებისათა ვიდოდით“ (რომ. 6:3-5).

გველი სახეა ეშმაკისა, რომელიც უფლის მიერ დაითრგუნება. როგორც ცნობილია, კაცობრიობის პირველშობლები სატანამ სწორედ გველის მემკვიდრეობით აცდუნა. შესაბამისად, გველი განასახიერებს ეშმაკს, რომლის შემუსვრაც იწინასწარმეტყველმა უფალმა, როცა გველს უთხრა: „მტერობა დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა, და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა. იგი შენსა უმზირდეს თავსა და შენ უმზირდე მისსა ბრჭალსა“ (დაბ. 3:15). დამოწმებული ბიბლიისეული ციტატა არის პირველი მესიანისტური წინასწარმეტყველება. კაცობრიობის გამოხსნა ჯვრით (განკაცებული ღმერთის ჯვარზე გაკვრით) აღსრულდა. ამასთან დაკავშირებით წმიდა თეოდორე სტუდიელი ბრძანებს: „ვითარცა იგი წარმდებად განმარტებელთა მათ ხელთათვის, ხესა მას ცნობადისასა ნეტარებისა მისგან ცხოვრებისა ექსორია ვიქმნენით, ეგრეთვე ახოვნებით განპყრობილთ ამათ ხელთათვის მაცხოვრისა ჩუენისა ძელსა მას ცხოვრებისასა კულად საშუებელთა მათ სამოთხის მკვიდრ ვიქმნენით და სასუფეველსა ცათასა აღვიწიენით“ (ურუშაძე 2017ა: 522).

ჯვრისა და ნათლისღების კავშირის შესახებ საუბრობს სოფრომ იერუსალიმელი: „ნათლისღება ჩემი არს დასაბამ ჩემისა თქუენდა მიმართ განცხადებისა, ხოლო ვნება – დასასრულ ჩემისა თქუენ თანა ქცევის“ (რაფაეა 2020: 230).

დამოწმებული ეგზეგეზის მიხედვით, ნათლისღებით იწყება განკაცებული ღმერთის კაცთა შორის მოსაგრეობა, ხოლო ჯვარცმით – სრულდება.

„დაბადების“ წიგნის მიხედვით, ეშმაკი გველში შედის და შესაბამისად, ეს ქვეწარმავალი ხატმეტყველებაში ეშმაკის სიმბოლოა. ხოლო ვეშაპის სახისმეტყველებასთან დაკავშირებით სწავლება გადმოცემულია ფსალმუნში. კერძოდ, 73-ე ფსალმუნში ვკითხულობთ: „შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპთა წყალთა ზედა“ (ფს.73:13).

ფსალმუნის დამოწმებული სიტყვების ერთ-ერთი განმარტება არის ის, რომ უფალმა ნათლისღებისას შემუსრა წყალში დაბუდებული ეშმაკი და მას (წყალს) ნათლისღების მადლმოსილება მიანიჭა. დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზას, რომელიც ევსები ალექსანდრიელს განეკუთვნება: „დათრგუნა ეშმაკი წყალთა შინა და თავი მისი შემუსრა, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი: „შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპისა მის და მიეც იგი საჭმელად ერსა მას ჰინდოეთისასა“ (რაფავა 2020:175-176).

იოანე ნათლისმცემლის გამოსახულების უკან, ზოგიერთ რედაქციაში, გამოსახულია მცენარე (ან მცენარეები) (ილ. 20; 28), რომელიც, ერთი მხრივ, მიუთითებს იოანე ნათლისმცემლის სამოღვაწეო ასპარეზზე – უდაბნოზე, მეორე მხრივ, იგი განასახიერებს „მკალს“, რომლითაც, სახარების თანახმად, წმინდა წინამორბედი იკვებებოდა – „საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური“ (მთ. 3:4).

თეოფილაქტე ბულგრელი ამბობს, რომ მკალი იყო ერთგვარი უდაბნოს მცენარე (თეოფილაქტე 2009: 560.)

ზოგიერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში, იოანე ნათლისმცემლის გამოსახულების უკან გამოსახულია ხეზე მიბჯენილი ცული, რაც წარმოადგენს უფლის წინამორბედის შემდეგი სიტყვების იკონოგრაფიულ ილუსტრირებას: „რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან რომელმან არა გამოილოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (მთ. 3: 10).

იოანე ოქროპირი ყურადღებას ამახვილებს ნათლისმცემლის დამოწმებული წინადადების პირველ სიტყვაზე „ყოველი“ და ამბობს, რომ მნიშვნელობა არ აქვს აბრაამის შთამომავალი ხარ თუ წარმართი, ყოველი ნაყოფის არგამომღები ადამიანი „მოკვეთისა და ცეცხლად დადებისთვისაა“ განწირული. იგივე მოძღვარი იმასაც ბრძანებს, რომ წარმოდგენილ სიტყვებში დიდი ნუგეშიც დევს, რადგან „გამოაჩინა, ვითარმედ რომელმან გამოილოს ნაყოფი კეთილი, ყოველსავე სატანჯველისაგან განრომილ არს“ (ოქროპირი 2014: 167).

შემდგომი მსჯელობისას კოსტანტინეპოლელი მოძღვრი განმარტავს ხის მიერ ნაყოფის გამოღების სახისმეტყველებას. წმინდა მამის თანახმად, ხის ნაყოფის გამოღება გარემო პირობებზე, ბუნებაზე დამოკიდებული, ხოლო ადამიანის მიერ კეთილ საქმეთა აღსრულებას მხოლოდ ერთი რამ სჭირდება – მის მიერ გამოვლენილი ნება (ოქროპირი 2014: 167). იმავე მოძღვრის თანახმად, ხესთან ცულის დება მოასწავებს იმას, რომ ჯერ არ დამდგარა აღსასრულის ჟამი (არ ამოქმედებულა ცული), შესაბამისად, ადამინებმა უნდა იჩქარონ, სანამ ჯერ კიდევ აქვთ სინანულის დრო და შესაძლებლობა (ოქროპირი 2014: 167).

თეოფილაქტე ბულგარელი ცულში სამსჯავროს მოიაზრებს, ხოლო ხე-ში – ყოველ ადამიანს (თეოფილაქტე 2009: 58).

ნეტარი იერონიმეს მიხედვით, ცულში სახარების სიტყვა მოიაზრება, რომლის არ მოსმენის შემთხვევაში ადამიანი დაისჯება (<https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-10>; Internet. Иероним, Стридонский, Толкование на группу стихов: Мф: 3: 10-10; 18 Мая, 2023).

ისიდორე პელუსიელის მიხედვით, იოანე ნათლისმცემელმა იუდეველი ხალხის უნაყოფობა (კეთილ საქმეთა არქონა) შეადარა უნაყოფო ხეს, რომლის ფესვებთან ცული ძევს და იგი მოჭრის ამ ხეს. იმავე მოძღვრის თანახმად, მოჭრილ ხის ძირზე ახალი ხალხი „დაემყნობა“. ხის ძირი, როგორც ღვთის მარადიული კანონები, რჩება, და მასზე (საღვთო კანონებზე) დაეფუძნება ქრისტეს მცენებების მიმდევარი ხალხი (<https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-10>; Internet. Исидор, Пелусиот преподабный, Толкование на группу стихов: Мф: 3: 10-10; 18 Мая, 2023).¹

¹ აღნიშნული სწავლება პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლეს შემდეგი მონაკვეთის შინაარსიდან მომდინარეობს: „ხოლო თქვენ გეტყვ, წარმართთა მაგათ: რაოდენ-ესე ვარ მე წარმართთა მოციქულ, მსახურებაჲ ესე ჩემი ვადიდო. ვაშურო ხოლო თუ ჴორცთა ჩემთა და ვაცხოვნნე ვინმე მათგანნი? რამეთუ უკუეთუ განვრდომაჲ იგი მათი დაგება სოფლისა, რაოდენ-მე შეწყნარებაჲ მათი, არა თუ ცხოვრებაჲ მკუდართაგან? ხოლო უკუეთუ დასაბამი იგი წმიდა არს, და თბეცა; და უკუეთუ ძირი იგი წმიდა არს, და რტონიკა მისნი. ხოლო უკუეთუ რტოთა მათგანნი ვინმე გარდასტყდეს, ხოლო შენ ველური ჴეთის ხილი იყავ და დაემყენ მათ ჴედა და თანა-ზიარ ძირისა და სიპოხისა ჴეთის ხილისა იქმენ, ნუ ექადი რტოთა მათ. ხოლო უკუეთუ ექადი, არა თუ შენ ძირი იგი გიტვრთავს, არამედ ძირსა მას – შენ სთქუა უკუე: გარდასტყდეს რტონი იგი, რადთა მე დავემყნა, კეთილ! იგინი ურწმუნოებითა მათითა გარდასტყდეს, ხოლო შენ სარწმუნოებითა სდგა; ნუ ჰმადლოი, არამედ გემინოდენ. უკუეთუ ღმერთმან ბუნებითა მათ რტოთა არა ჰრიდა, ნუუკუე შენცა არა გრიდოს. აწ უკუე იხილე სიტკბოებაჲ და სასტიკებაჲ ღმრთისაჲ: დაცემულთა მათ ჴედა – სასტიკებაჲ, ხოლო შენ ჴედა – სიტკბოებაჲ, უკუეთუ ეგო სიტკბოებასა მას ჴედა; უკუეთუ არა, შენცა მო-ვე-უკუეთო. და იგინი, თუ არა დაადგრენ ურწმუნოებასა მათსა ჴედა,

კირილე ალექსანდრიელი ძირში, რომელიც არ იჭრება, ძველი აღთქმის პატრიარქებისა და წმინდანების მოღვაწეობას გულისხმობს, რომლის შთამომავლებმაც ღვთის მცნებები არ აღასრულეს და ამიტომ მოიკვეთნენ. თუმცა, დარჩენილ ძირზე წარმართული საზოგადოება „დაემყნო“ (<https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-10/>; Internet. Кирилл, Александрийский святитель, Толкование на группу стихов: Мф: 3: 10-10; 18 May, 2023).

ერთ-ერთ ლიტურგიკულ საგალობელში ვკითხულობთ, რომ უფალი თავისი ცულით ადამიანის „უნაყოფობას მოჰკუეთს“ და მის წილ „შუენიერებათა სათნოებათასა დაჰწერგავს ჩუენ შორის“ (ურუმამე 2017ზ: 150).

ნათლისღების იკონოგრაფიურ რედაქციათა შორის განსაკუთრებულია ერთ-ერთი, რომელიც ძალიან გავს „ჯოჯოხეთის წარტყვევნის“ (აღდგომის) ხატმეტყველებით გამომსახველობას. მაგალითად, არის ნათლისღების იკონოგრაფია, სადაც იორდანე შავი ფერისაა და მის ფონზე გამოსახული მაცხოვარი ძალიან გავს „ჯოჯოხეთის წარტყვევნაში“ შავ (ჯოჯოხეთის გამომხატველი ფერი) ფონზე გამოსახულ, ქვესენელში მართალთა სულების დასახსნელად შთასულ იესო ქრისტეს. გარდა ამისა, შუა საუკუნეების ხატმეტყველებაში, ნათლისღების რიგ იკონოგრაფიულ სცენებში გამოსახავენ იორდანეში, ხის კვარცხლბეკზე (ხშირად, ჯვრის ფორმისა) მდგომ მაცხოვარს (ილ. 3), რაც ანალოგს პოულობს „ჯოჯოხეთის წარტყვევნის“ იკონოგრაფიულ გამომსახველობის ნიმუშებთან, სადაც იესო ქრისტე ჯვარედინი ფორმის კვარცხლბეკზე მდგარი წარმოჩნდება (ილ. 3; 6).

ნათლისღებისა და ქრისტეს აღდგომის (რაც, მართლმადიდებლურ ხატმეტყველებაში „ჯოჯოხეთის წარტყვევნის“ გამომსახველობითაა წარმოდგენილი) კავშირზე საუბარია საღვთისმეტყველო ტექსტებში. ბასილი დიდი, ნათლისღებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ჰომილიაში ბრძანებს: „დღისა მის აღვსებისა რამცა უმახლობლეს იყო ნათლის-ღებად? რამეთუ დღე იგი სახსენებლი არს აღდგომისა, ხოლო ნათლისღება ძალი არს აღდგომისა მიმართ“ (ურუმამე 2017ა: 335).

კესარიელი მოძღვრის მიხედვით, არ არსებობსა მოვლენა, რომელიც ისე ახლოს იყოს ნათლისღებასთან, როგორც აღდგომის დღე და მისი მნიშ-

და-ვე-ემყნენ; რამეთუ შემძლებელ არს ღმერთი კუალად დამყნად მათდა. უკუეთუ შენ ბუნებითისა მისგან მოეკუეთე ველურისა ზეთის ხილისა და გარეშე ბუნებისა დაემყნენ კეთილსა ზეთის ხილსა, რავდენ უფროდს იგინი ბუნებითსა მას დაემყნენ თვისსავე მას ზეთის ხილსა“ (რომ. 11:13-24).

ვნელობა, რადგან ნათლისღება აღდგომას მოასწავებს, ამასთანავე, ეს დღესასწაული აღდგომის ძალაა.

საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ადამიანის ნათლისღება შემდეგნაირად გაიზრება: წყალში კვდება და იფლობა ძველი, ცოდვებისგან დამძიმებული ადამიანი და იქედან აღმოიშობა ახალი, ბრალთაგან განთავისუფლებული კაცობრივი ბუნება (როგორც ზემოთ ვთქვით, სწორედ ამ გზებით ეწოდება ნათლისღებას მაცხოვრის მიერ „მეორედ შობა“). ამასთან დაკავშირებით პავლე მოციქული ბრძანებს: „თანა-დავეფლენით მას ნათლისღებითა მით სიკუდილსა მისსა, რათა ვითარცა იგი აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისათა, ეგრეცა ჩვენ განახლებითა ცხორებისათა ვიდოდეთ“ (რომ. 6,4).

დამოწმებული სიტყვების ეგზეგეზისის მიხედვით, როგორც მაცხოვარი აღესრულა ხორციელად, ჩვენც, ასევე უნდა მოვკვდეთ ცოდვების მიმართ (იგულისხმება ის, რომ როგორც მიცვალებული ვედარ ჩადის ცოდვებს, ადამიანსაც ასეთივე მიმართება უნდა ჰქონდეს ურჯულოების მიმართ). ნათლისღება ჩვენი ჯვარცმია: როგორც ქრისტეს სიკვდილის მიზეზი ჯვარცმა გახდა (რის შემდეგაც იგი დაფლეს), ასევე, ადამიანების „ცოდვების მიმართ სიკვდილის“ საფუძველია ნათლისღება. ხოლო რაც შეეხება ქრისტესთან ერთად აღდგომას, ამ საკითხზე კარგად პასუხობს ერთ-ერთი ლიტურგიკული საგალობელი: „რამეთუ ამისთვის დავეფლავით ქრისტეს თანა ნათლისღებითა, რათა მოკუდეს ცოდვა, და რათა, ვითარცა ქრისტე აღდგა რა საფლავით, არღარა ემონეს განხრწნადნი ხორცნი, ეგრეთვე ჩვენ, აღმოვხდეთ რა ემბაზისა მისგან ნათლისღებისა, არღარა გუაქუნდეს ძუელისა მის კაცისაგანი, არამედ ყოველივე ახალი“ (ურუმბაძე 2017ბ: 246-248).

წარმოვადგენთ წმინდა კირილე იერუსალიმელის შესაბამის ეგზეგეზას: „უკუეთუ თანა-ნერგ ექმნე შენ მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა, ეგრეცა აღდგომასა ღირს იქმნე, ვითარცა იგი იესუ ცოდვანი სოფლისანი თავს-ისხნა და მოკუდა, რათა მოაკუდინოს ცოდვა და სიმართლით აღდგეს, ეგრეცა შენ შთახვიდე წყალსა მას და ვითარცა სახედ რამე დაეფვლი წყალთა მათ შინა, ვითარცა იგი იესო კლდესა მას შინა, მერმე კუალად აღსდგე და განახლებული ცხოვრებითა ხვიდოდი“ (შანიძე 1959: 88).

წმინდა ნათლისღებით ქრისტემ კაცობრივი ბუნება განაახლა და ცოდვათა ტყვეობიდან გამოიყვანა. ადამიანის გამოხსნა განსრულდა აღდგომისას, როცა ჯოჯოხეთში შთასულმა მაცხოვარმა მისი მეუფება დაამარცხა, მისგან დაიხსნა ადამიანი, რის აღსანიშნავად, „ჯოჯოხეთის წარტყვენის“ იკონოგრაფიაში, პირველი ვინც მაცხოვარს ჯოჯოხეთიდან აღმოჰყავს, ადამია. აღნიშნულ კავშირს კარგად წარმოაჩენს იოანე მტბევარი: „დღეს

წყალთა ბუნება მეორედ მშობელად კაცთა იქმნების და იორდანე შემრწუნებით მოაკლდების და უკუნ აქცევს დელვათა... ხმისა მისგან ახლისა ელიასა შიშით ზარგანხდილი დგას მდუმარედ განზანად შემოქმედისა, რომელი განკაცნა და ჰნებავს ადამის აღმოყვანება, რათა განაახლოს და ხელმწიფე ყოს დათრგუნვად თავსა მას ბოროტთასა, რომელმან შურითა მოკლა იგი პირველად და კულად აგოს სამოთხედ მოწყალებით“ (ურუშაძე 2017ბ: 51).

როგორც ზემოდამოწმებული ეგზეგეტიკური თუ ჰომილეტიკური ნაშრომებიდან იკვთება, ნათლისღების ხატმეტყველება სხვადასხვა საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებით ასპექტებს მოიცავს. მასში გადმოცემულია არამარტო ნათლისღების სახარებისეული ისტორია, არამედ მისი ეგზეგეტიკაც. ასევე, გადმოცემულია ნათლისღების, როგორც საეკლესიო საიდუმლოს მნიშვნელობის შესახებ მოძღვრებაც. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული იკონოგრაფიის თითოეული რედაქცია არამხოლოდ იესო ქრისტეს ნათლისღების შესახებ მოუთხრობს მნახველებს, არამედ ნათლისღებისკენ და განახლებული ცხოვრებისაკენ მოუწოდებს.

დამოწმებანი:

- Ch'elidze E. Martlmadidebeli Ek'lesiis Modzghvreba Ts'minda Khat'ta Taq'vanistsemis Shesakheb. Tbilisi: 2020 (ჭელიძე ე. მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება წმინდა ხატთა თაყვანისცემის შესახებ. თბილისი: 2020).
- Kartuli Natargmni Homilet'ik'uri Dzelebi. Natlisghebis Homiliebis Dzveli Kartuli Targmanebi. Nats'ili I. Redakt'ori M. Rapava. Tbilisi: Tbilisis sasuliero ak'ademiisa da seminariis gamomtsemloba, 2020 (ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები. ნათლისღების ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები. ნაწილი I. რედაქტორი მ. რაფავა. თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, 2020).
- Net'ari Teopilakt'e Bulgareli. Mates Sakharebis Ganmart'eba. Tbilisi: gamomtsemloba „alilo“, 2009 (ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი. მათეს სახარების განმარტება. თბილისი: გამომცემლობა „ალილო“, 2009).
- Rjuli Krist'esi, Natlisgheba. Ts'igni I. Shemdgeneli da Mtavari Redakt'ori Dek'anozi K'akhaber Urushadze. Tbilisi: gamomtsemloba „alilo“, 2017 (რჯული ქრისტესი. ნათლისღება. წიგნი I. შემდგენელი და მთავარი რედაქტორი დეკანოზი კახაბერ ურუშაძე. თბილისი: გამომცემლობა „ალილო“, 2017).
- Rjuli Krist'esi, Natlisgheba. Ts'igni II. Shemdgeneli da Mtavari Redakt'ori Dek'anozi K'akhaber Urushadze. Tbilisi: gamomtsemloba „alilo“, 2017 (რჯული ქრისტესი. ნათლისღება. წიგნი II. შემდგენელი და მთავარი რედაქტორი დეკანოზი კახაბერ ურუშაძე. თბილისი: გამომცემლობა „ალილო“, 2017).

Sinuri Mravaltavi 864 Ts'lisha. Sast'ambod Moamzades K'atedris Ts'evrebma Ak'ak'i Shanidzis Redaktsiit, Ts'inasit'q'vaobit da Gmok'vlevit: Tbilisi: Tbilisis St'alinis sakhelobis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba, 1959 (სინური მრავალთავი 864 წლისა. სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბილისი: თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959).

Ts'm. Ioane Okrop'iri. Targmaneba Mates Sakharebisa. Targmani Ts'm. Eptvime Mtats'mindelisa. Ts'igni I. Tbilisi: gamomtsemloba „betania“, 2014 (წმ. იოანე ოქროპირი. თარგმანება მათეს სახარებისა. თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისა. წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა „ბეთანია“, 2014).

Udabnos Mravaltavi. Ak'ak'i Shanidzisa da Zurab Tch'umburidzis Redaktsiit. Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomtsemloba, 1994 (უდაბნოს მრავალთავი. აკაკი შანიძისა და ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994).

საიტები

<https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-10/>; Internet. Иероним, Стридонский, Толкование на группу стихов: Мф: 3: 10-10; 18 May, 2023.

<https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-10/>; Internet. Исидор, Пелусиот преподобный, Толкование на группу стихов: Мф: 3: 10-10; 18 May, 2023.

<https://ekzeget.ru/bible/evangelie-ot-matfea/glava-3/stih-10/>; Internet. Кирилл, Александрийский святитель, Толкование на группу стихов: Мф: 3: 10-10; 18 May, 2023.

Giorgi Vashalomidze
(Georgia)

Iconography of Epiphany and its Theological Aspects

Summary

Key words: Jesus Christ, life, grace, iconography, the Jordan River, Baptism, Cross, water, icon, snake, Man, theology, death, life, joy, exegesis, homiletics, the Heaven, the Father, the Son, the Holy Spirit, the Holy Trinity, dove, beam, deer, the Church, God.

The topic we present in this article is the iconography of the Baptism and its theological and typological aspects. It suggests discussion of the iconographic representation of this event. As is known, iconography is one of the most important means of communicating with God. According to the teachings of the Church, the basis of the veneration of icons is the Incarnation of the Second Person (Hypostasis) of the Holy Trinity. As a result of the Incarnation of God the Son, the invisible God became visible, the basis of which is the Incarnation of God.

Iconography found its origin in the early Christian era. As it is well known, the Roman Empire was the center of the establishment of Christianity as a religion. Israel, where the Saviour lived and executed His ministry, was then under the rule of the Roman Empire. In those times, a large part of society was illiterate. Therefore, iconography was of great importance. In fact, it acquired the essence of “visual theology“. According to the Church Teaching, veneration of an icon does not mean veneration of the paint and material, but that of the image depicted on it. Saint John of Damascus says: “Veneration of an icon ascends to the prototype of its image “. In this regard, it was particularly important to illustrate the events of the Gospel. As is known, it is the book bearing great significance in the Christian Church, for it contains events related to the ministry of the Incarnate God in this world. Therefore, it is the most important duty of a Christian to know its content, which is why, in Christian iconography, special attention was drawn to the portrayal of the events of the Gospel.

The Baptism of Jesus Christ is one of the most important events. As is known, the Incarnate God was baptized at the age of thirty. It was the Saviour’s age when the

most important period of His ministry in this world began. All the four evangelists give their accounts of the Baptism of the Incarnate God.

The Baptism of Jesus Christ took place in the following way: One day the Saviour went to John the Baptist who baptized people in the Jordan River. John stopped Him and told Him that, conversely, he needed to be baptized by Him, to which Jesus Christ answered: "Let it be so now, it is proper for us to do this to fulfill all righteousness. "(Matthew 3:15). According to the Gospel, John "allowed" the Saviour to come to him. The Lord went into the water and as He came up from it, the heavens were opened to Him and the Holy Spirit descended like a dove and the voice of the Father came from Heaven: "This is My beloved Son, in Whom I am well pleased. "(Matthew 3:17)

The Baptism of Jesus Christ is called the revelation of the Holy Trinity. The Holy Trinity was revealed in the following form: the Father, Whose voice was heard from Heaven, the Son, Who was baptized in the Jordan River, and the Holy Spirit, Who in the form of a dove alighted upon the Lord. In addition, it must be noted that by going into the water of the Jordan River, Jesus Christ established baptism as a mystery.

It is an interesting fact that in the iconography of the early Christian epoch, we come across episodes of deer who are drinking water greedily. For instance, in the 6th century iconography of the Baptism in the Catacomb of Pontian, we see a scene of deer drinking from the river. Almost the same image is depicted on the Bitchvinta mosaic.

The iconography of the aforementioned image represents an illustration of the following words from the psalm: "As the deer pants for the water brooks, so pants my soul for You, O God". (Psalm 42:1) According to the psalm, human beings should have a strong longing for deification, for being baptized.

In the early representations of the Baptism, Jesus Christ is predominantly depicted as a Young Child. In later times, this depiction is replaced by the image of the Man. It is a known fact that the Saviour was baptized in an adult age, when He was thirty years old (below, this theme is discussed in detail).

Why was the Lord portrayed as a Young Child in the era of early Christianity?

This is a question that stirs up our interest. As is known, the Baptism is called in other words – "to be born again". In the Gospel According to John, the Saviour says to Nicodemus: "Jesus answered and said to him, 'Most assuredly, I say to you, unless one is born again, he cannot see the Kingdom of God.' "(John 3:3)

In the iconography of the Baptism, the depiction of the Saviour as a Young Child indicates the second, spiritual birth of a baptized person. According to the

Church Teaching, an old man, burdened by sin, goes into the water and a new man, cleansed of guilt, is born anew and emerges from there.

In the later period, **the iconographic composition of the Baptism, which is known to everyone today**, was formed. In the center of it, the Saviour stands in the Jordan River, John the Baptist is on His left side. He has put his right hand on the Saviour's head. On the right side of Jesus Christ, there are angels who worship the Lord, bowing before Him. A dove descends from the sky above the Saviour's head, which in many cases is accompanied by a beam that comes from above and is directed towards the image of the Saviour. The mentioned iconographic representation is fully consistent with the event described in the Gospel, according to which, while the Son of God was being baptized in the Jordan River, the Holy Spirit descended in the form of a dove and the voice of the Father was heard from Heaven.

The significance of the Baptism as the revelation of the Holy Trinity is vividly shown in the image mentioned above. The Son is portrayed as the Man in the Jordan River, the Holy Spirit – in the form of a dove as described in the Gospel, and the Father – in the form of the beam which descends from the height of the Heaven and is followed by the dove. Particularly interesting is the latter. The iconography meticulously conveys the physical appearance of the Son and the Holy Spirit in the Gospel. Namely, the Son of God – in the form of a Man, the Holy Spirit – in the form of a dove. However, as we know, it is only possible to depict material forms (or nature), while it is not possible to do so with voices. Therefore, in this case, iconography uses the image of a beam, as the representation of the Father and His voice, which is directed to the Lord Who stands in the Jordan River. This beam is followed by the Holy Spirit, revealed in the form of a dove. **The aforementioned is based on the corresponding exegesis, according to which, lest anyone should think that the voice coming from heaven belonged to someone else**, the Holy Spirit in the form of a dove, emanating from the "Father's voice", alighted upon Jesus Christ in the Jordan River.

In the composition of the iconography of the Baptism, a number of exegeses related to this feast day are represented. They are discussed in this article. As one of the examples of it, we offer the following: Until the 13th century, the Saviour was portrayed naked in the composition. In the later period, however, He was depicted with a loincloth around His waist. The naked image of Jesus Christ expresses the Gospel story, according to which He enters the Jordan River and receives Baptism. Apart from it, the expression of the naked Jesus Christ reflects several aspects of the relevant exegesis.

By the nakedness of the Incarnate God, putting off the corruptible clothing of the human nature by a human being and his being endowed with divine grace are represented in iconography. As we learn from the book of "Genesis", God clothed with skin human beings who were cursed by Him because of their sin (Genesis 3:21). This is interpreted by exegetes in the language of typology as well: in particular, the human nature was deprived of God's grace and was clothed with death, but at the Baptism, the nakedness of the Saviour released from death man clothed with sin, and endowed him again with divine grace.

In the composition of the Baptism, we often come across the portrayal of the Cross. There are cases when the Cross in the form of a stele (stone-cross) is placed in the Jordan River. In some iconographic renderings, the Saviour stands on a cross-shaped pedestal, under which a snake (a serpent) is lying, and there are also other images of a snake in the Jordan River, on which the Saviour stands and vanquishes it.

The inclusion of the images of the Cross and the snake (serpent) in the composition of the Baptism is based on the theological teaching that Christ defeated death with the Cross; the mystery of baptism, which was instituted by the Saviour when He was baptized in the Jordan River has the following essence: when a person is baptized, the old man dies and a new man, cleansed of sins, is born again and emerges from the water.

Exegetical and homiletic works clearly attest that iconography of the Baptism encompasses various theological and typological aspects. Not only the Gospel story of the Baptism, but also its exegesis is conveyed in it. Apart from it, the teaching about the significance of baptism as a Church mystery is also evident in it. It can be said that each rendering of the aforementioned iconography not only recounts the Baptism of Jesus Christ, but also calls those who look at it to receive baptism and start a new life.

ნათელა ჩიტაური
შორენა შამანაძე
(საქართველო)

იდენტობათა რეკონსტრუქციები და ალტერნატივათა ძიება ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ ტექსტებში¹

თანამედროვე სამყარო უამრავი ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს კაცობრიობას. ინტერნეტის და სოციალური ქსელების წყალობით იშლება მენტალური საზღვრები და მცირდება გაუცხოება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთა შორის. დღევანდელი საზოგადოება ხასიათდება მიგრაციული მოძრაობებით და გლობალური დაქსელვით. ეს იწვევს კულტურული კომუნიკაციის ზრდას, ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციას ბიზნესში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ცხოვრების ყველა სფეროში.

არნახულად გაზრდილი ინფორმაციული ნაკადების ფონზე ინდივიდებისათვის უაღრესად გართულდა საკუთარ თავში გარკვევა და გარემოში ორიენტირება.

ყოველივე ეს უპირველესად იდენტობებზე აისახა: კულტურული მრავალფეროვნება საკუთარი თავის მხოლოდ ერთი კულტურის ფარგლებში განსაზღვრის იდეას ცვლის იდენტობის მოქნილი, მუდმივად ახლად ჩამოყალიბებული აღქმით. „გასტარბაიტერების იმპორტმა ... სამუდამოდ შეცვალა ყოველდღიური ცხოვრება და მასპინძელი ქვეყნების კულტურა“ (Schlögel 2008: 109).

კულტურათა კვეთაში, ერთი მხრივ, ადამიანები მეტად დაინტერესდნენ საკუთარი თვითმყოფადობით, წარსულით, მეორე მხრივ, იზადება ახალი იდენტობებიც, იკვეთება იდენტობათა ძიების სიცოცხლისუნარიანი დინამიკა.

¹ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა ახალი „Weltliteratur“-ის ჭრილში და ნაციონალური იდენტობა“ (პროექტის N DI-18-965) ფარგლებში შესრულებულ კვლევას.

დღევანდელობამ იდენტობათა განსაზღვრისა და შესწავლის პროცესში კიდევ ერთი კორექტივი შეიტანა: თუ დღემდე უფრო მეტად გახმოვანებული იყო და მეცნიერებიც იკვლევდნენ ნაციონალურ, სოციალურ იდენტობებს, დღეს აღნიშნულ ფენომენებს განსაზღვრავს პიროვნულ იდენტობათა მოდიფიკაციები, რომლებიც ინდივიდისა და გარემოს ინტერაქციის პროდუქტია.

იდენტობის რეკონსტრუქცია პროცესია: პირველ ეტაპზე იგულისხმება განსხვავებების დანახვა, რაც განპირობებულია სხვადასხვა კულტურული ცოდნითა თუ კულტურული პრაქტიკით. შემდეგ ეტაპზე კი – განსხვავებათა შედარება და ამის საფუძველზე საკუთარი თავის შეფასება, რაც საკუთარი იდენტობის რეკონსტრუქციასაც არ გამოორიცხავს.

ამ საყოველთაო დეზორიენტაციისა და ინფორმაციული წნეხის, იდენტობათა ასეთი მრავალფეროვნების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიგრაციის პირობებში საზღვარგარეთ შექმნილ ტექსტებს.

თუ გადავხედავთ ბოლო ორი ათწლეულის მიგრაციული ლიტერატურის ევროპულ დისკურსს, აღსანიშნავია ამ სახის ლიტერატურის დეფინიციათა სიმრავლე: ინტერ/ტრანსკულტურული, მიგრაციული, პოსტმიგრაციული, ტრანსარეალური, დიასპორული, ჰიბრიდული, მულტილინგვისტური, მოძრაობის / დევნილობის (exil) / ადგილმონაცვლე პირთა, სამყაროთაშორი (Writing-between-Worlds) და სხვა. თუმცა ბოლო პერიოდში მას სულ უფრო და უფრო ხშირად მოიხსენიებენ ასე: „ახალი Weltliteratur“. ეს პოზიცია მოდის ჰომი ბჰაბჰას მიერ გოეთეს Weltliteratur-ის ახლებური აქტუალიზაციიდან. თავის ნაშრომში „The Location of Culture“ ჰომი ბჰაბჰა წერს: „მსოფლიო ლიტერატურის შესწავლა შეიძლება იყოს შესწავლა იმისა, თუ როგორ ცნობენ კულტურები საკუთარ თავს „განსხვავებების“ მეშვეობით“ (Bhabha 1994:75). ოტმერ ეტტე აღნიშნავს, რომ ახალმა მსოფლიო ლიტერატურამ ეს ნარაციისა და პოეტიკის სტრუქტურულ დონეზეც უნდა ასახოს (Ette 2005:42).

მიგრაციული მწერლობის „ახალ Weltliteratur“-ად სახელდების მთავარი არგუმენტი არის ის, რომ მიგრაციის ლიტერატურა უკავშირდება გლობალიზებულ სამყაროში ყოველდღიურ ყოფას და ეს ვლინდება განსხვავებულ კულტურათა კავშირისა და მრავალენოვანების რეალურ კონტექსტებში. ამავდროს „ახალი Weltliteratur“-ის მთავარ მახასიათებელს – კულტურათაშორის „მესამე სივრცეს“ უმთავრესად საზღვარგარეთ შექმნილი ტექსტები ქმნის.

„ახალი Weltliteratur“-ის იდეა განავითარა და სისტემად ჩამოაყალიბა ელკე შტურმ-ტრიგონაკისმა, ეს იდეა მეცნიერებს სთავაზობს ახალი პერსპექტივიდან განიხილონ მიგრაციული ლიტერატურის ადგილი და გვერდი აუარონ კამათს იმის შესახებ, ეკუთვნის თუ არა ესა თუ ის ლიტერატურა ამა თუ იმ ნაციონალურ მწერლობას.

ქართველ მოღვაწეთა მიერ საზღვარგარეთ, ასევე მიგრაციულ თემებზე შექმნილ ტექსტებს ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა უწოდა **ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა**. თანამედროვე ქართული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე აღარ კმაყოფილდება მხოლოდ პოსტსაბჭოური სინამდვილისა და 90-იანი წლების ტრავმის აღწერით. მისი განვითარების დინამიკა მიმართულია თანადროულ დასავლურ სივრცეში ჩაწერისაკენ, რაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ ავტორთა შემოქმედება ან ტექსტები, რომლებშიც მიგრაციული თემები, სხვადასხვა კულტურის შეხვედრაა ასახული. ეს მწერლობა, როგორც „ახალი Weltliteratur“-ის მესამე სივრცის ნაციონალური გამოვლინება – ყოველდღიურად ქმნის ახალ რეალობას და მისი კვლევის დაწყება დღეს მნიშვნელოვანია.

ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის თვისობრიობა, მით უმეტეს, იდენტობათა რეკონსტრუქციებისა და ალტერნატივათა კვლევა ამ ლიტერატურაში, უკვე აღარ თავსდება კომპარატივისტული ლიტერატურათმცოდნეობის ჩარჩოებში. იქმნება კვლევის ახალი სივრცე, რომელიც ეყრდნობა კონტექსტუალურ (სისტემურ და ემპირიულ) მიდგომას და მოითხოვს თანამედროვე თეორიების გამოყენებას, კვლევის ინტერდისციპლინურ ფორმატს. სტატიაში ვიყენებთ ჩვენ მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას „სოციოლიტერატურათმცოდნეობა“, რაც გულისხმობს ეთნიკურ, რელიგიურ, ენობრივ, სოციალურ, გენდერულ, პროფესიულ, თვითრეალიზაციის, თვითაქტუალიზაციის და სხვა მიმართულებების გააქტიურებასაც. იდენტობათა კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით დღეს ასე აქტუალურ ურთიერთკავშირს სელფსა და იდენტობას შორის. „სელფი“, როგორც ფენომენი, აქტიურად ჩაერთო განსაკუთრებით პიროვნულ იდენტობათა კვლევებში (გამსახურდია 2016: 40).

აღბათ, დაისმის კითხვა: აღნიშნული საკითხების საკვლევად რატომ ვირჩევთ საზღვარგარეთ შექმნილ ან მიგრაციული პროცესების ამსახველ ტექსტებს?

ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის ცენტრალური თემა იდენტობათა ცვლილებებია. ეს მწერლობა სწორედ ის ველია, რომელიც ყველაზე რეალურად და აქტიურად წარმოაჩენს მიგრაციული, გლობალური სამყაროს „მოდრავ“ (რთულ – ორმაგ, სამმაგ, ჰიბრიდულ, ახალ) იდენტობებს, იდენტობათა ძიების პროცესებს. ამიტომაც ამ მწერლობაში ბევრი ისეთი აქცენტი და კონტექსტია (გააქტიურებული იმაგოლოგიური ნარატივი, რომელიც დისტანციიდან, სხვადასხვა კულტურის პერპექტივიდან უფრო ნათლად, რეალურად წარმოაჩენს თავისასაც და სხვისასაც; კულტურული

მეხსიერების დომინანტი; საზღვარგარეთ მყოფობასთან, ემიგრაციასთან, „მოდრაობასთან“ დაკავშირებული ფსიქოსოციალური იდენტობები), რომლებსაც „ადგილზე შექმნილ მწერლობაში“ ვერ შევხვდებით. ამ მწერლობაში ასახულია ის ცვლილებები, მეტამორფოზები, რომლებიც თანამედროვე სამყაროს, სხვადასხვა კულტურის აღქმის ალტერნატიულ მოდელებსა და პარადიგმებს გვთავაზობს, თუნდაც მიგრაციის ის მიზეზები, რომლებიც სამშობლოში პიროვნული იდენტობის კრიზისს (ნეგატიურ ემოციებს, ალტერნატივათა მუდმივ და უპერსპექტივო ძიებას) ასახავს და რომელთა გამოც მიგრაციის პერსპექტივა უმჯობესად ჩაითვალა.

იდენტობა ყალიბდება ყველა არსებული კომპონენტის საფუძველზე. ნაციონალურ, სოციალურ, პროფესიულ ასპექტებთან ერთად უმნიშვნელოვანესია გრძნობად-ემოციური პრობლემები – სიყვარული, პარტნიორის არჩევა, დაოჯახება, სექსუალური ორიენტაცია – იდენტობებთან დაკავშირებით სულ უფრო აქტიურად განიხილება.

„ახალ Weltliteratur“-ში იდენტობათა რეკონსტრუქციებისა და ალტერნატივების ძიებათა პროცესებს განსაკუთრებით აქტიურებს საოჯახო ნარატივი, ფემინური დისკურსი, რომლებიც დღევანდელმა „მოდრავმა“, მიგრაციულმა გარემომ გააძლიერა. „მოდრაობის“ მწერლობის ავტორთა და პერსონაჟთა უმეტესობა ქალია. დღეს „ახალი Weltliteratur“-ის უმნიშვნელოვანესი თემა არის ქალის, როგორც ავტორის და როგორც პერსონაჟის, თვითიდენტიფიკაციის პრობლემები, ამ მწერლობაში „ქალურობის“ ისტორიული კონცეპტი მდიდრდება ინტერკულტურული მოდელებით.

თანამედროვე ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა „ახალი Weltliteratur“-ის ფემინურ ნარატივში ერთვება ამ დისკურსის კომპლექსურ, ინტერკულტურულ ჭრილში წარმოჩენით, თუმცა ძალიან საინტერესო ნაციონალური ასპექტებით: 90-იანი წლების პარადიგმა, გარე და შიდამიგრაციები, საბჭოთა სისტემის ნგრევასთან დაკავშირებული თემები, პოსტსაბჭოთა ქაოტური მოვლენები. თავად ქართული მენტალობის (კოლექტივისტური ქართული მენტალობა, გარემოს ძლიერი ზეგავლენა პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე) თავისებურებანი. ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა ასახავს დღევანდელ რეალობას: ნომადიზმმა, „მოდრაობის“ ვითარებამ წამოსწია ქალის ძლიერი მხარეები, ქალმა უფრო აქტიურად დაიწყო ფიქრი და ბრძოლა თვითიდენტიფიკაციისათვის, პიროვნული თავისუფლებისათვის. დღეს ქალი მამაკაცზე მეტად კრიტიკულად განიხილავს მემკვიდრეობით გადაცემულ და ასევე შექმნილ იდენტობას, ცდილობს დროულად გააკეთოს არჩევანი, თუ ადრე შერჩეული იდენტობა დაკარგავს ღირებულებას, აიძულოს გარშემომყოფები აღიარონ მის

მიერ ახლად მოპოვებული იდენტობა. ამ მწერლობაში ოჯახური, ბიოგრაფიული, გენდერული ნარატივი, ნაციონალურისაგან განსხვავებით, მიგრაციებმა და ამასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა (თუნ-დაც ოჯახის ინსტიტუტის რღვევა) სრულიად განსხვავებული თემატიკით დატვირთა.

ვფიქრობთ, ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობას აქვს მეტი რესურსი არა მხოლოდ იდენტობათა რეკონსტრუქციების წარმოსაჩენად, არამედ მას შეუძლია მნიშვნელოვნად განსაზღვროს იდენტობათა რეკონსტრუქციის პროცესის დინამიკა. ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა ამ კონტექსტებით გაცილებით უკეთ პასუხობს თანამედროვეობის გამოწვევებს, ვიდრე „ადგილზე შექმნილი“ მწერლობა.

სწორედ ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში, მაშასადამე, კულტურათა კვეთაში ვლინდება, რომ:

– საბჭოთა სივრცით მოტივირებულ სამშობლოს ზედმეტად იდეალიზაციას და ქართველურობის გაფეტიშებას, რასაც იმ ეპოქაში ეროვნული ცნობიერების გადარჩენისა და ტოტალიტარული სისტემისათვის ფარული თუ აშკარა წინააღმდეგობის გაწევის მიზანი ჰქონდა, თანამედროვე ეტაპზე შინაარსი და ფუნქცია გამოეცალა.

– საჭირო და აუცილებელი გახდა არა მხოლოდ პოსტსაბჭოური სინამდვილისა და 90-იანი წლების ტრავმების (იდენტობათა კრიზისი, ომები, ეთნოკონფლიქტები, დევნილობა, კრიმინალი) აღწერა, ლოკალური პრობლემების ასახვა და მეტ-ნაკლებად გაანალიზება, არამედ საბჭოთა პერიოდში დამუშავებული ნაციონალური ნარატივისა და ნაციონალური სტერეოტიპების დეკონსტრუქცია, ნაციონალურ / ეთნიკურ იდენტობათა რედეფინიცია, გლობალურ კონტექსტთან ადაპტაციისა და მოდერნიზებული ნაციონალური ღირებულებების ფორმირების საფუძველზე ახალ იდენტობათა დაბადების დაფიქსირება, ახალი ნაციონალური ნარატივის შექმნა.

ახალი „Weltliteratur“-ის, შესაბამისად, ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობისა და იდენტობათა ერთობლივი დისკურსი აყალიბებს კულტურულ სივრცეს – შესაძლებლობას დაისვას კითხვები:

- რა არის უცხოეთში წასვლის მიზეზი და მიზანი?
- რამდენად პრიორიტეტულია უცხო გარემოსთან მორიგების, ადაპტაციის მექანიზმები? რამდენად ათავისუფლებს ადამიანს ნომადიზმი და ათავისუფლებს კი საერთოდ?
- რა გავლენას ახდენს ნაციონალური და ტრანსნაციონალური დინებები თვითიდენტიფიკაციაზე. რამდენად არსებობს ალტერნატიული დისკურსის ენა უცხოეთში, რამდენად ახერხებენ ან თუ ახერხებენ თვითრე-

ალიზაციას, თვითგამოხატვას, პირადი სივრცის შექმნას, როგორც პროფესიულ-შემოქმედებით, ისე გრძობად-ემოციურ სფეროში?

– რამდენად იქცევა გაორების ფაზა (ორმაგი იდენტობები, „ორმაგი აგენტობა“, „ორმაგი კოდირება“, „დია იდენტობა“) შემოქმედებით მოტივაციად?

– როგორ ჩანს უცხოეთში „მე“ და „სხვა“ შეინიშნება თუ არა კრიტიკული დამოკიდებულება ნაციონალური იდენტობის ან დასავლური ღირებულებების რომელიმე მარკერის მიმართ? რა „დავივიწყოთ“, რა მივიღოთ როგორც გამოწვევა, როგორც რეალობა?

– რამდენადაა ასახული ამ მწერლობაში კონტექსტუალიზმი, რა უფრო მეტად ქმნის განსხვავებათა საფუძვლებს: ზოგადად გლობალურ-მიგრაციულ-ინტერკულტურული კონტექსტი თუ ქართული ან პოსტსაბჭოთა გარემოს თავისებურებანი?

– რამდენად გამოკვეთს ეს მწერლობა იმ ასპექტებს, სფეროებს, რომლებიც მოითხოვს აუცილებელ ინტერვენციებს ავტონომიური ფუნქციონირებისათვის, როგორ უნდა გაძლიერდეს „იდენტობის კაპიტალი“, სად უნდა ჩაიდოს ინტერვენციები (ოჯახური ურთიერთობები, აღზრდის თავისებურებები, კულტურა, სოციოპოლიტიკური კონტექსტები)?

განვიხილოთ უცხოეთში შექმნილი ტექსტები:

1. ამერიკაში მცხოვრები და მოღვაწე ავტორის, მაია ციციშვილის მოთხრობების კრებული „ათას ერთი დღიდან“. 2021.

1. „მე“ და სხვა“

პირველივე მოთხრობა „ეპიკურეს ბალები“ (ვაშინგტონი. 2014 წელი): „ლა მადლენი, ფრანგული კაფე ბეტეზდაში, უკვე რამდენიმე წელია ჩვენი და ჩვენი ახლობელი ოჯახების თავშეყრის ადგილია“ (ციციშვილი 2021: 9).

პირველივე ფრაზები: „დამაცადე, დღეს მე ვიხდი ნუ ყვირით, სირცხვილია, შეწუხდა ხალხი“ (ციციშვილი 2021: 9).

„გადახდის დროს მოსამსახურე პერსონალისათვის პატარა შოუ იმართება: ხელს ვკრავთ, ვეჭიდავებით ერთმანეთს, ვბრაზობთ. ... ვინც გვცნობს, ჩვენს გამოჩენაზე ალბათ ფიქრობს: „აი, ისინიც მოვიდნენ, შემოდინ, დაიწყებენ ახლა ხელების ქნევას და ყვირილს, ნეტავ საიდან არიან, რა უცნაური ხალხია ...“ (ციციშვილი 2021: 12-13).

უკვე მისახვედრია ქართული ხასიათი: თანამესუფრეს თანხის გადახდა უნდა დაასწრო. ამერიკული მენტალობა: ამით ადამიანები წუხდებიან, დრო ფუჭად იკარგება.

აქ მჟღავნდება ქართველთა ეთნიკური იდენტობის საიდენტიფიკაციო ნიშნები: ეპატაჟურ-რადიკალური ქმედება და მეტყველება, თვალსაჩინო ხელგაშლილობა. ზოგადად, საყოველთაო აზრია, რომ ქართული სტუმარმასპინძლობა სწორედ ამ დეტალებით გამოირჩევა, თუმცა ბოლო დროს შესამჩნევია ცვლილებებიც. ხოლო ემიგრაცია, გარკვეულწილად, კულტურული მეხსიერების, ტრადიციების შემნახავად და დამკონსერვებლადც შეიძლება ჩაითვალოს; იქნებ ესაა ემიგრაციისა და ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის ერთ-ერთი ფუნქციაც – **შემოინახოს კონკრეტული ქცევა ან ხასიათის თვისება, რომელიც სამშობლოში უკვე აღარაა აქტუალური და მომავალი თაობები მის შესახებ სწორედ აქედან გაიგებენ.**

ზოგადად ქართული მენტალობის შესახებ ასეთი აზრია:

„ქართველების მოქმედებების უმრავლესობა თითქმის სრულად გარემოზეა ორიენტირებული. ყველა აქამდე აღნიშნული აქტივობა ცალსახად ყურადღების მიპყრობისაკენაა მომართული. მათ ნაკლებად აინტერესებთ მოქმედებებისა თუ სიმბოლოების რეალური შინაარსი. აქცენტი კეთდება გარეგნულ ეფექტზე“ (გამსახურდია 2016: 135).

მაია ციციშვილის მიერ მიგნებული ეროვნულ-მენტალური სხვაობანი ნიუანსური, ამავე დროს მნიშვნელოვანია.

მოთხრობა „სადღესასწაულო დეკორაციები“ (ვაშინგტონი 2014): „დერეფანში შეხვედრისას ჩემი და ამ ქალის ურთიერთობა კლასიკური ამერიკული სამეზობლო ფრაზებით შემოიფარგლებოდა. ... ისეთი გრძნობა გიჩნდება, ამერიკაში ცხოვრობენ პრინციპით: არავის არავისი არაფერი არ მართებს“ (ციციშვილი 2021: 21). ავტორი დელიკატურად, მრავლისმომცველად მიგვანიშნებს გარემოს როლზე ქართულ რეალობაში. მართალია, დღეს საქართველოში მიმდინარეობს ინდივიდუალური ლიბერალიზაციის პროცესი, გარემოს (ოჯახური აღზრდის ავტორიტარული მიდგომები, სოციოკულტურული, საზოგადოებრივი ნორმები, სოციოეკონომიკური პირობები) მნიშვნელობაც თანდათან მცირდება, მაგრამ პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე, ალტერნატივების ძიებებზე ქართული გარემო, მეტ-ნაკლებად შემორჩენილი კოლექტივისტური ტენდენციის გამო, თავის გავლენას კვლავ ინარჩუნებს. სამეცნიერო სივრცეში აღნიშნულია, რომ ეს კონტექსტი საქართველოში ნაკლებადაა განხილული.

„მჭიდრო კულტურაში ინდივიდის ფუნქციონირებისას წინა ხაზზეა „უნდა მე“-ს ნიშნული და არა „იდეალური მე“-ს ნიშნულები. მაღალი განცდილი ანგარიშვალდებულების პირობებში თვითრეგულაცია ეყრდნობა „უნდა მეს“ მუდმივ აქტივობას. ჯერჯერობით კულტურის ამ განზომილების შესახებ კვლევები საწყის სტადიაშია, საქართველოში კი არ ჩატარებულა.

თუმცა კვლევის შედეგები გარკვეულწილად მიაწინებებს, რომ კულტურული ნორმები ძლიერია და მათგან გადახვევას მკვეთრი უარყოფითი უკუკავშირი მოსდევს გარემოს მხრიდან“ (სხირტლაძე 2015: 95).

ქართველები თითქოს ლალი ადამიანები არიან. ქართული ხასიათის ეს თვისება ბევრს გამოუკვეთავს. გრ. რობაქიძე შენიშნავდა: „გაახარე-გაიხარე“ – აი, მთავარი ხრტილი ქართული ბუნებისა“ (რობაქიძე 1996: 43). ქართველებს ეს სილადე ამლევდა რწმენას გადარჩენისა. ქართული იდენტობის ამ მეტად მნიშვნელოვანი მახასიათებლის შესახებ კვლევა ჩაატარა ვიქტორ ნოზაძემ. მან თქვა, რომ ქართველი არის „ესთეტიურად უპასუხისმგებლო“, საქართველო ხშირად დაუპყრიათ, ქართველი ხალხი ხშირად დამორჩილებია კიდეც უცხო ძალას, მაგრამ ამ ძალის ბატონობისათვის მას სერიოზულად არასოდეს შეუხედავს. ესაა „ქართველის უპასუხისმგებლობა“. როდესაც ამ ბატონობას ბოლო ეღებოდა, ქართველი ხალხი თავისი ხასიათით ისეთივე რჩებოდა, როგორც უწინ იყო, შესაძლოა, შინაგანად უფრო ძლიერიც კი. ესაა მისი „ესთეტიზმი“ (კარტოზია, 2016: 141). ამის შესახებ აღნიშნულია თანამედროვე კვლევებშიც: „ქართველების უმრავლესობა საკუთარ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების ძირითად მიზეზს გარემოსა და ბედისწერაში ხედავს და არა საკუთარ თავში, ჩანს, ქართული ეთნოსის წევრებს აქვთ განცდა, რომ „რახან აქამდე გადავრჩით“, შემდეგშიც გადავრჩებით. ის ფაქტი, რომ სხვა დიდი სახელმწიფოების გაქრობის ფონზე საქართველომ ამდენ ხანს გააგრძელა არსებობა, საკუთარი თავის და პოზიტიური ბედისწერის ირაციონალურ რწმენას განაპირობებს“ (გამსახურდია 2016: 172-174).

თუმცა მაია ციციშვილს უცხოეთმა, სხვადასხვა მენტალობათა შედარების შესაძლებლობამ მისცა საშუალება, შეენიშნა, რომ „ლალი ქართველი“ დღეს უკვე სხვა პოზიციებს ამჟღავნებს.

ქართველის სილადე, შესაბამისად, აქტიურობა, დღეს უფრო ნაკლებია, ვიდრე, მაგალითად, ამერიკელისა, თუნდაც ხანდაზმულისა.

მოთხრობაში „სადღესასწაულო დეკორაციები“ მოთხრობელის მეზობლად მცხოვრები ხანშიშესული ცოლ-ქმარი, ქორწინებიდან მე-60 წლის-თავის აღსანიშნავად, თავიანთმა შვილებმა, რომლებიც უკვე დიდი ხანია ცალკე ცხოვრობენ და მათ იშვიათად ნახულობენ, ჰავაიზე დაპატიჟეს. ქართველს უკვირს მათი ენთუზიაზმი, აღფრთოვანება, ზოგადად ყველა დღესასწაულზე, თუნდაც ჰელოუინზე, სახლის დეკორაციებით მორთვის ხალისი. ავტორის განწყობის შედარებითი დისკურსი ასეთია:

„ნეტავი ამას, რომ ამისი თავი აქვს. წელს მე შეიძლება ნამდვის ხეც არ ავაწყო, ანდა ვისთვისაა საჭირო, ბავშვებს აღარ აინტერესებთ, მე მეზარება,

ქმარს კიდევ უფრო, რადგან მისი მოსათრევი და დასადგმელია“ (ციციშვილი 2021:24).

